ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძვლის პარაგრაფში აღწერილი საკითხების გარდა და გავლენის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ობიექტურად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, კომპანიის ფინანსურ პოზიციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოდIFIცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების კლასიფიკაციის სისწორეს. მეტიც, ჩვენ ვერ მივიღეთ მიღებული თანხების სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიღებული სესხის ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 724 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთების დადასტურება, რადგან ვერ მივიღეთ დამადასტურებელი წერილები ან სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებები კომპანიის მოვალეებისგან. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთები შეადგენს 141 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 141 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ დავაზუსტეთ შესაბამისი მოვალეების არსებობა და თუ ისინი არსებობენ, იყო თუ არა თანხები სწორი და იყო თუ არა აღრიცხული თუ აღრიცხავი სავაჭრო დებიტორული დავალიანების კორექტირების საჭიროება.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ნაშთების დადასტურება, რადგან ვერ მივიღეთ დამადასტურებელი წერილები ან რაიმე სხვა დამადასტურებელი მტკიცებულება კომპანიის მოვალეებისგან. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ნაშთები შეადგენს 315 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 315 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ დავადგინეთ შესაბამისი კრედიტორების არსებობა და თუ ისინი არსებობენ, იყო თუ არა თანხები სწორი და იყო თუ არა აღრიცხული თუ აღრიცხავი სავაჭრო კრედიტორული დავალიანების კორექტირების საჭიროება.

ჩვენ ვერ ვიძლევიტ გაცემული სესხების რეალური ღირებულების სისწორის გარანტიას. უფრო მეტიც, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დამადასტურებელი წერილი. გაცემული სესხების ბალანსი შეადგენს 62 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და 216 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

ჩვენ არ მიგვიღია საკმარისი მტკიცებულება იმაში დასარწმუნებლად, შედარებითი მაჩვენებლების შემოსავალი აღიარებული იყო თუ არა შესაბამის პერიოდებში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

ჩვენი აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები იმ სტანდარტების შესაბამისად შემდგომ აღწერილია ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების ნაწილში აუდიტისთვის აუდიტორის პასუხისმგებლობებში, ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობის ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ეთიკის მოთხოვნებთან ერთად, რაც ეხება ჩვენი აუდიტის განხორციელებას ფინანსურ ანგარიშგებაზე საქართველოში, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს ჩვენი მოსაზრებისთვის.

სხვა საკითხები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 21 აპრილს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ მოიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები და ანგარიშგებისას გამოიყენოს კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ მას არ გააჩნია რეალური ალტერნატივა ასეთი ქმედების გარდა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელნი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას მოიცავს.

გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს ჩვენ ასევე:

გამოვალენით და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

ჩვენ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ახსნა-განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი ახსნა-განმარტებები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ჩვენ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართვეის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რის შედეგადაც მომზადდა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ანა ოსიყმიშვილი

ანა ოსიყმიშვილი

შპს ქუდოს ჯორჯია-ს სახელით

/ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია /

თბილისი, საქართველო

15 ივლისი, 2022

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, დანადგარები და მოწყობილობა	5	57	215
არამატერიალური აქტივები		3	5
სულ გრძელვადიანი აქტივები		60	219
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		26	26
საკონტრაქტო აქტივი		-	-
საგადასახადო აქტივი		-	-
საავანსო გადახდა		-	73
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	572	2,761
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	7	542	311
გაცემული სესხები	8	62	216
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,202	3,387
სულ აქტივები		1,262	3,606
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(429)	1,316
მფლობელის კაპიტალი		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(429)	1,316
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	722	1,857
მიღებული ავანსები		-	-
გადასახდელი მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი		4	4
სახელმწიფო ვალდებულებები		-	299
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		241	131
კრედიტები და სესხები		724	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,692	2,290
სულ ვალდებულებები		1,692	2,290
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,262	3,606

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

/ ხელმოწერილი და გეჭედდასმულია /

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
მოგების და ზარალის ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020 გადაანგარიშებული
შემოსავალი	10	1,093	10
ფინანსური შემოსავალი		6	29
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11	(132)	(1,814)
მთლიანი მოგება		967	(1,775)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(968)	(874)
უიმედო და საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი		(1,761)	(76)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(1,762)	(2,725)
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	13	110	97
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები		(59)	(187)
გაცვლითი კურსის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი		(31)	157
ფინანსური ხარჯები		(3)	(2)
მოგება დაბეგვრამდე		(1,745)	(2,660)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(4)
პერიოდის სუფთა მოგება		(1,745)	(2,665)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

/ ხელმოწერილი და ბეჭედასმულია /

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
გადაანგარიშებული ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,981	3,981
წლის მოგება	(2,665)	(2,665)
გაცემული დივიდენდები	-	-
გადაანგარიშებული ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,316	1,316
წლის მოგება	(1,745)	(1,745)
გაცემული დივიდენდები	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(429)	(429)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

/ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია /

არაპირდაპირი მეთოდი

	2021	2020 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება შემოსავლის დაბეგვრამდე	(1,745)	(2,660)
ქონების, დანადგარების და მოწყობილობის ცვეთა	58	114
ზარალი (მოგება) უცხოური ვალუტის რევალვაციიდან, ნეტო	(31)	157
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		
(ზრდა) / კლება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	2,188	241
(ზრდა) / კლება წინასწარ გადახდებში	73	610
(ზრდა) / კლება მარაგში	0	9
ზრდა / (კლება) სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	(1,134)	93
(ზრდა) / კლება სახელმწიფო ვალდებულებებში	(299)	(203)
(ზრდა) / კლება საგადასახადო ვალდებულებებში	111	120
(ზრდა) / კლება გაცემულ სესხებში	154	824
ფულადი სახსრები მიღებული ოპერაციებიდან	(626)	(697)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	-	(387)
ნეტო ფულადი სახსრების შემოდინება / (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(626)	(1,084)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების, დანადგარების და მოწყობილობის შეძენა	100	54
IA-ს შეძენა	1	1
ნეტო ფულადი სახსრები (გამოყენებული) / წარმოქმნილი საინვესტიციო საქმიანობით	102	55
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული კრედიტები და სესხები	795	-
გადახდილი კრედიტები და სესხები	(71)	-
ნეტო ფულადი სახსრები (გამოყენებული) / წარმოქმნილი ფინანსური საქმიანობით	724	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	31	(14)
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	231	(1,043)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	311	1,354
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	543	311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

/ ხელმოწერილი და ბეჭედასმულია /

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ფილიალი საქართველოში. კომპანია დაარსდა 2016 წლის 26 სექტემბერს. დარეგისტრირდა როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველოში, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, უზნაძის ქუჩაზე 57 ნომერში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროექტირება, კონსულტაცია და კვლევა სამოქალაქო ინჟინერიაში, კვლევისა და განვითარების საქმიანობის სფეროში.

ინსტიტუტ იგ3 საქართველო მუშაობს პროექტირებაზე საერთაშორისო და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის.

- მთელი საქართველოს მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის 700 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს გზების განვითარების დაკვეთით.
- ე.წ. სამთო გზების პროექტის შემუშავება.
- 170 მთლიანი სიგრძის სარეაბილიტაციო გზების და 28 ხიდის პროექტის შემუშავება და 26 ახალი ხიდის მშენებლობის პროექტირება დასრულებულია.

საქართველოს გარდა, ინსტიტუტ იგ3-ს ფილიალები აქვს ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, სერბეთში, ბულგარეთში, ალბანეთსა და კოსოვოში. კომპანია ასევე მუშაობდა ყაზახეთში, რუსეთსა და უკრაინაში.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"). ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობებით განპირობებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშებით კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავლებში. საკურსო სხვაობებით განპირობებული მოგება და ზარალი, წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების და სხვა სრული შემოსავლის სახით, როგორც „სავალუტო (ზარალი)/მოგება, ნეტო“.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 აშშ დოლარი / ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დასკვნა

წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე და 2021 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფ საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასსს") მიერ გამოცემული სტანდარტებით და განმარტებებით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგების და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს. რადგან სტანდარტები და განმარტებები რომლებიც, როგორც მოსალოდნელია ძალაში იქნება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენს „ბასსს“ ან ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ წარდგენის ან შესაძლო ცვლილებების დაფიქსირების საგანს, ხელმძღვანელობა არ გამოირიცხავს ალბათობას რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ შესაძლოა მოითხოვოს კორექტირება ასეთი ცვლილებების გამო, საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

გამოყენებული ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპი არის პირვანდელი ღირებულების პრინციპი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილ საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში

წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

კომპანია რეტროსპექტიულად გაასწორებს წინა პერიოდში დაშვებულ არსებით უზუსტობებს და შეცდომებს, რომლებიც გამოვლინდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, და გაასწორებს ამ პერიოდში დაშვებულ უზუსტობებს და/ან შეცდომებს.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშთები დაშვებულია შემოწმების პერიოდამდე, გამოვლინილი შეცდომები გასწორდება და ნაშთები განახლდება იმ პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მიხედვით, რომელშიც ასეთი შეცდომა იყო დამყვანი. მენეჯმენტმა გადაწყვიტა შეიტანოს რეტროსპექტიული ცვლილება და ხელახლა მოახდინოს მოგება-ზარალის ანგარიშგების და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმულირება 2019 და 2020 წლებისთვის.

წინა პერიოდის შეცდომებისა და რეკლასიფიკაციების კორექტირების ზეგავლენა 2019 (2019) წლის 31 დეკემბრის და 2020 (2020) წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის და მოგება/ზარალის ანგარიშგებებზე, არის შემდეგი:

31.12.2019	წინა ანგარიშის მაჩვენებლები	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 31.12.2019
აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	3,664	(662)	3,002
საკონტრაქტო აქტივი	1,414	(1,414)	-
ვალდებულებები			

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,593)	(171)	(1,764)
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(1,256)	754	(502)
საშემოსავლო გადასახადები	78	54	132

კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(5,420)	1,439	(3,981)

31.12.2020	წინა პერიოდში წარდგენილი	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 31.12.2020
-------------------	---------------------------------	-------------------------------	------------------------------------

აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,945	(2,183)	2,762
საკონტრაქტო აქტივი	1,414	(1,414)	-

ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,484)	(373)	(1,857)
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(1,256)	957	(299)
საშემოსავლო გადასახადები	(185)	54	(131)

კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(4,275)	2,960	(1,315)

2020	წინა პერიოდში წარდგენილი	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 2020
-------------	---------------------------------	-------------------------------	------------------------------

შემოსავალი			
შემოსავალი	1,531	1,521	10

ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(962)	(88)	(874)
რეალიზებული მომსახურების ღირებულება	(1,802)	12	(1,814)
უიმედო და საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	-	76	(76)

საქმიანობის უწყვეტობა

ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი ჩანაფიქრები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების წვდომა, როგორც მოითხოვება საანგარიშო პერიოდის შემდეგ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტმა არ იცის რაიმე არსებითი განუსაზღვრელობების შესახებ რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი შეიტანოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უნარზე.

მიუხედავად კომპანიაზე Covid-19 ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, მენეჯმენტმა არ შეაჩერა თავისი საქმიანობა, მენეჯმენტმა განიხილა გლობალური პანდემიის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე, ამიტომ მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ კომპანიამ უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება მუშაობის პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

არაქარმოვბული ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ინვესტიციებს აქციებში და ობლიგაციებში, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, სესხებს, კომერციულ დოკუმენტებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გაზრდილი გარიგების ხარჯებით, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით. არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შედეგად იზომება ქვემოთ აღწერილი გზით.

ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებულია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელმწიფო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის სახელმწიფო უფლებები ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების გადინებაზე ამოიწურება ან თუ კომპანია გადასცემს ფინანსურ აქტივს სხვა მხარეს აქტივის კონტროლის ან არსებითად ყველა რისკის და შემოსავლის შენარჩუნების გარეშე. ინვესტიციების რეგულარული შესყიდვები და გაყიდვები აღიარებულია ვაჭრობის თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია კისრულობს აქტივის შეძენას ან გაყიდვას. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება თუ კონტრაქტში განსაზღვრული ჯგუფის ვალდებულებები ამოიწურება, შესრულებდა ან გაუქმდება

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია რომლებიც განსაზღვრულია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ არის კლასიფიცირებული, როგორც (ა) სესხი და დებიტორული დავალიანება, (ბ) დაფარვამდე დაკავებული ინვესტიცია ან (გ) მოგებით ან ზარალით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანიის ხელთ არსებული არა მოთხოვნილი აქციები და დარეგისტრირებული გამოსყიდვადი ბანკნოტები, რომლებიც ბრუნავს აქტიურ ბაზარზე კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი და აისახება რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება შენიშვნა 6-ში აღწერილი წესით. რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია პირდაპირ კაპიტალში ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომელშიც არ შედის გაუფასურების ზარალი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული პროცენტი და უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი ფულად აქტივებზე, რომლებიც პირდაპირ აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. თუ ინვესტიცია განკარგულია ან განსაზღვრულია გასაუფასურებლად, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დივიდენდები გასაყიდად ხელმისაწვდომ კაპიტალის ინსტრუმენტებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში როდესაც მტკიცდება აღნიშნული დივიდენდის მიღების უფლება.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება შესაბამის უცხოურ ვალუტაში და გადაყვანილია ანგარიშგების დღეს არსებული სპოტ სავალუტო კურსით. აქტივის ამორტიზირებული ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი სავალუტო სხვაობებთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები აღიარებულია კაპიტალში.

გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები, სავაჭრო ან სხვა დებიტორული დავალიანება ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მიმდინარე დებიტორული დავალიანებისა, როდესაც პროცენტის აღიარება არაარსებითი იქნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, იმათ გარდა რაც ფასდება მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით, შეფასებულია გაუფასურების ნიშნებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელიც დაფიქსირდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ზემოქმედება განიცადა ინვესტიციის სავარაუდო სამომავლო ფულადმა ნაკადებმა.

ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც გასაყიდად განკუთვნილად ითვლება, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა მისი თვითღირებულების ქვემოთ წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამოშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან

- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის დაგვიანებას ან გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორცაა სავაჭრო დებიტორული დავალიანება ანუ აქტივები, რომლებიც შეფასდა ინდივიდუალურად არ გაუფასურებულად, დამატებით ფასდება გაუფასურებაზე ჯგუფურად. დებიტორული დავალიანების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებელი შეიძლება იყოს ბანკის წარსული გამოცდილება თანხების ამოღების თვალსაზრისით, ვადაგადაცილებული გადახდების რიცხვის ზრდა პორტფელში 360 დღიანი საშუალო კრედიტის პერიოდის შემდეგ, ასევე ისეთი შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია მოთხოვნების დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების ზარალი არ აღდგება შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით ყველა ფინანსურ აქტივზე სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში ისე, რომ გაუფასურების აღდგენის დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ამორტიზებული ღირებულების იმ ოდენობას, რომელიც ორგანიზაციას ექნებოდა, გაუფასურება რომ არ ეღიარებინა.

გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ფასიანი ქაღალდების მიმართ, თავდაპირველად მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი არ აღდგება მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალის შემდეგ რეალური ღირებულების ნებისმიერი ზრდა აღიარდება ინვესტიციის გადაფასების რეზერვში. გასაყიდად ხელმისაწვდომი სესხის ფასიანი ქაღალდების მიმართ, გაუფასურების ზარალი თავდაპირველად აღდგება მოგებაში ან ზარალში თუ ინვესტიციის რეალური ღირებულების ზრდა შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს იმ მოვლენას, რომელსაც ადგილი ქონდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანიის ფინანსური აქტივის აღიარება შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ კომპანიამ სხვა ორგანიზაციას გადასცა ფინანსური აქტივი და, არსებითად, აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და შემოსავლები. თუ კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავლებს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს უზრუნველყოფილ სესხებს შემოსავლის მისაღებად.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია, როგორც ვალი ან კაპიტალი

სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი საკონტრაქტო შეთანხმებების არსიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ორგანიზაციის აქტივებში წარჩენ წილს, მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები რეგისტრირდება მიღებულ შემოსავლებთან, გამოშვების პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის სესხები, თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯით რაც აღიარებულია ფაქტიური შემოსავლის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეთოდი და საპროცენტო ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები, სახსრებზე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ემიტენტი ვალდებულია გადაუხადოს მფლობელს გარკვეული თანხა, როგორც კომპენსაცია, მფლობელის მიერ დაკარგული ზარალის ასანაზღაურებლად, რადგან მსესხებელმა არ შეასრულა მისი გადახდის ვალდებულება დავალიანების ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით და, შემდგომში, თუ ისინი არ არის განსაზღვრული, რომ შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით, ფასდება უდიდესით:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ბასს 37-ით „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“,
- თავდაპირველი თანხა, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღიარებულია შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან მოქმედების ვადა დასრულდება.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები ის ორგანიზაციებია, რომლებშიც კომპანიას აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, განახორციელოს კონტროლი ოპერაციებზე. კონტროლი მიიღწევა სადაც კომპანიას აქვს უფლებამოსილება მართოს ორგანიზაციის ფინანსური და ოპერაციული პოლიტიკა, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან.

ინვესტიცია საქმიანობაში თავდაპირველად აღირიცხება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფაქტიური ღირებულებით გაუფასურების გამოქვითვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურების ტესტირება ტარდება ყოველწლიურად.

ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში

ასოცირებული კომპანიები ის კომპანიებია რომლებშიც კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არა კონტროლი. მნიშვნელოვანი გავლენა მოიცავს ასოცირებული კომპანიის ფინანსურ და ოპერაციულ პოლიტიკებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამ პოლიტიკების კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიებში თავდაპირველად აღირიცხება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფაქტიური ღირებულებით გაუფასურების გამოქვითვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურების ტესტირება ტარდება ყოველწლიურად.

შემოსავალი

შემოსავლები მოიცავს მიღებული საზღაურის ან პროდუქტის, საქონლის და მომსახურების გაყიდვის რეალურ ღირებულებას კომპანიის ჩვეული საქმიანობის დროს. შემოსავალი ნაჩვენებია, სუფთა დამატებული ღირებულების გადასახადით, საბითუმო შეღავათით და გაყიდვების ფასდაკლებით.

კომპანია ცნობს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ორგანიზაციას და კონკრეტული კრიტერიუმები იქნება შესრულებული კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის, როგორც აღწერილია ქვემოთ.

(i) მომსახურების გაყიდვა

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები უკავშირდება საპროექტო, სასწავლო, ზედამხედველობით, საკონსულტაციო მომსახურებებს, ლაბორატორიულ მომსახურებებს, საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს. მომსახურების გაყიდვა აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის დროსაც ხდება მომსახურების გაწევა, კონკრეტული გარიგების დასრულების მითითებით, რაც ფასდება ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე, როგორც მოწოდებული მთლიანი მომსახურების წარმოდგენილი ნაწილი.

კომპანია საზღვრავს საპროექტო საქმიანობების სახელშეკრულებო პროექტებს, როგორც ბასს 11-ის გამოყენების სფეროს.

კომპანია აღიარებს საპროექტო კონტრაქტების შემოსავლებს და ხარჯებს საბალანსო თარიღისათვის სახელშეკრულებო სამუშაოს დასრულების სავარაუდო ეტაპზე დაყრდნობით.

სახელშეკრულებო სამუშაოების, პრეტენზიების და წამახალისებელი გადასახადების ვარიაციები შედის სახელშეკრულებო შემოსავალში იმ მოცულობით, რაც შეიძლება შეთანხმებულ იქნეს დამკვეთთან.

როდესაც კონტრაქტის შედეგი საიმედოდ არ შეიძლება შეფასდეს, სახელშეკრულებო შემოსავალი აღიარებულია მხოლოდ სახელშეკრულებო გაწეული ხარჯების ოდენობით, რისი ანაზღაურებაც შესაძლებელია. კონტრაქტის ხარჯები აღიარებულია როგორც გასავალი იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

როდესაც სავარაუდოა, რომ კონტრაქტის მთლიანი ხარჯები გადააჭარბებს კონტრაქტის მთლიან შემოსავალს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც ხარჯი

(ii) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს პროცენტს რომელიც ექვემდებარება გადახდას კრედიტზე ან სესხებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ჩადებულ საშუალებებზე მისაღებ პროცენტს, დივიდენდის შემოსავალს და მოგებას და ზარალს უცხოური სავალუტო კურსის განსხვავებიდან და მოგებას და ზარალს შვილობილ კომპანიებში ინვესტიციის გაყიდვიდან. ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსავლები ასევე აისახება ფინანსური შემოსავლების ანგარიშში.

საპროცენტო შემოსავალი აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში თარიღით, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს ანაზღაურება.

ფინანსური ხარჯები მოიცავს პროცენტს სესხებზე, ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებაში ცვლილებას რეალური ღირებულებით მოგებიდან ან ზარალიდან, ფინანსური აქტივებიდან გაუფასურების ზარალს და უცხოური ვალუტის კურსით გამოწვეულ ზარალს. სესხის აღების ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(iii) საიჯარო შემოსავალი

საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება, როდესაც საიჯარო მომსახურება ხორციელდება და განეკუთვნება ოპერაციულ ლიზინგს.

შემოსავლები დამკვეთებთან დადებული კონტრაქტებისგან

ახალ სტანდარტს შემოაქვს მთავარი პრინციპი, რომლის თანახმად შემოსავალი უნდა იქნას აღიარებული, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა დამკვეთს გარიგების ფასში. ნებისმიერი კომპლექტური განსხვავებული საქონელი ან მომსახურება განცალკევებით უნდა აღიარდეს, და ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასის შეღავათი კონტრაქტის ღირებულებაზე როგორც წესი უნდა გამოიყოს ცალკეული ელემენტებისთვის. როდესაც ანაზღაურება რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები უნდა იქნას აღიარებული, თუ ისინი არ ექვემდებარება დაბრუნების მიშვნელოვან რისკს. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტის სარგებლის მოხმარება ხდება. ახალი სტანდარტის შემოღების გამო კომპანიაზე არსებითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ლიზინგი

კომპანია იჯარით იღებს გარკვეულ დანადგარს და მოწყობილობას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად როდესაც კომპანიას არსებითად გააჩნია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველი საიჯარო გადასახადები ნაწილდება ვალდებულებებსა და ფინანსურ დანახარჯებს შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების საპროცენტო ელემენტი აისახება მოგებაზე ან ზარალზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური იჯარის შედეგად მიღებული ქონება, დანადგარები და მოწყობილობა ამორტიზდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ ფლობს რისკების და სარგებლის მნიშვნელოვან ნაწილს კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის პირობებში განხორციელებული გადახდები თანაბრად ირიცხება მოგებაზე ან ზარალზე იჯარის პერიოდის განმავლობაში.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. კურსის განსხვავების მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ამგვარი ოპერაციების ანაგრიშწორებით და უცხოურ ვალუტაში მოსახლელი ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანის შედეგად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი აქტივები და საშუალებები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული ფაქტიური ღირებულებით არ გადაანგარიშდება. უცხოურ ვალუტაში მოსახლელი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, ასახული თავდაპირველი ღირებულებით, აღირიცხება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სესხები და სესხის ხარჯები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების გამოკლებით. სესხები შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი სხვაობა შემოსავალს (საოპერაციო ხარჯების გამოკლებით) და გამოსყიდვის ღირებულების შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სესხების პერიოდის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, თუ კომპანიას არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე 12 თვით.

დივიდენდი

კომპანიის აქციონერებისადმი დივიდენდის განაწილება აღიარებულია, როგორც ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები მტკიცდება კომპანიის აქციონერთა საერთო კრებით.

დაბეგრვა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ეხება უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ პუნქტებს, ამ შემთხვევაში იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი გადასახადი, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისთვის და წინა წლებთან დაკავშირებით გადასახდელი გადასახადის კორექტირება.

(i) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული გადასახადი აღიარდება საბალანსო მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებს, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებული ოდენობებისთვის. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება შემდეგ დროებით სხვაობებზე: აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციაში თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს კომბინაციას და არ მოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე, ასევე სხვაობებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში, როდესაც არ არის მოსალოდნელი სიტუაციის შეცვლა ახლო მომავალში. გადავადებული გადასახადი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით რომლებიც ძალაშია ანგარიშგების თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით რა ოდენობითაც მოსალოდნელია მომავალი დაბეგვრადი მოგებების ხელმისაწვდომობა, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. საგადასახადო აქტივები მცირდება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ არის სავარაუდო დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კომპენსირებულია, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების კომპენსირებისთვის ურიდიულად აღსრულებადი უფლება და ისინი უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ სუბიექტზე ან სხვადასხვა საგადასახადო სუბიექტზე დაწესებულ გადასახადებს, და ისინი გამიზნულია მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების დასაფარად ნეტოს საფუძველზე ან მათი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთდროულად განხორციელდება.

(ii) საგადასახადო ხარჯები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის თანხის განსაზღვრებისას კომპანია ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და ასევე იმ ფაქტს, გადასახადელი იქნება თუ არა დამატებითი გადასახადები, და დაკისრებული პროცენტი. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებს და დაშვებებს და შესაძლოა მოიცავდეს მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების სერიებს. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც კომპანიას აიძულებს არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობის შესახებ მისი მსჯელობის ცვლილებას; საგადასახადო ვალდებულებებში ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე, იმ პერიოდში, როდესაც გაკეთდება ამგვარი განსაზღვრება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

საგადასახადო ორგანოები ითხოვენ დღგ-ს დაფარვას ნეტოს საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ნეტოს საფუძველზე. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისას, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი თანხის გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

ქონება, დანადგარები და მოწყობილობა

(i) მიწა და შენობები

ღირებულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიწა და შენობები აისახება გადაფასებული ოდენობით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ რეალურ ღირებულებას, შენობებზე შემდგომი დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

რეალური ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას და წარმოადგენს შესაფასებელ თანხას რომელზეც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიყვას და ინტერესებული მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" ოპერაციაში.

როდესაც სააღრიცხვო ღირებულება იზრდება გადაფასების შედეგად, ეს ზრდა პირდაპირ უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, გადაფასების რეზერვში. გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება როგორც შემოსავალი იმ დონემდე რომ ის ცვლის იმავე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე იყო აღიარებული, როგორც ხარჯი.

თუ გადაფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს გადაფასების შემცირება პირდაპირ უნდა იქნას აღიარებული გადაფასების რეზერვში, სანამ შემცირება არ გადააჭარბებს იმავე აქტივისთვის გადაფასების რეზერვში არსებულ თანხას, ამასთან დარჩენილი თანხა განეკუთვნება პერიოდის ხარჯებს.

შეფასება ხორციელდება საკმარისად რეგულარულად, იმისათვის რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმისგან, რაც იქნება განსაზღვრული რეალური ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო თარიღისთვის. გარკვეული მიწის და შენობების სააღრიცხვო ღირებულების აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან როდესაც მისი გამოყენების ან განკარგვისგან მოსალოდნელი არ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. მიწებისა და შენობების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი ან დანაკარგი (გამოითვლილი, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და ელემენტის საბალანსო ღირებულებას შორის) მათი აღიარების შეწყვეტისას შედის მოგებაში ან ზარალში.

წინა შეფასებით განხორციელებული გადაფასების ნამატის შესაბამისი ნაწილი, გამოიყოფა მოგების ან ზარალისთვის, შეფასებული აქტივების ნამატიდან, გადაფასებული აქტივის განკარგვისას.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით.

დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელებული გადაფასების საფუძველზე, კომპანიამ გადააფასა თავისი საკუთრებები და შექმნა გადაფასების რეზერვები, რომლებიც გადადის გაუნაწილებელ შემოსავალში / დაგროვილ ზარალში დამტკიცებული ცვეთის პოლიტიკის შესაბამისად.

მიწის და შენობების განკარგვაზე შემოსავალი და დანაკარგი აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგების სხვა მოგებაში ან ხარჯებში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, გადაფასების რეზერვებში შეტანილი თანხები გადადის გაუნაწილებელ შემოსავლებში.

(ii) დანადგარები და მოწყობილობა

დანადგარები და მოწყობილობა თავდაპირველად აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ განეკუთვნება ელემენტების შეძენას. ღირებულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოწყობილობა და ინვენტარი აისახება გადაფასებული ოდენობით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ რეალურ ღირებულებას, შენობებზე შემდგომი დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

რეალური ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას და წარმოადგენს შესაფასებელ თანხას რომელზეც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიყვას დაინტერესებული მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" ოპერაციაში.

როდესაც საღირსეზო ღირებულება იზრდება გადაფასების შედეგად, ეს ზრდა უნდა აღიარდეს კაპიტალში, გადაფასების რეზერვში. გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება როგორც შემოსავალი იმ დონემდე რომ ის ცვლის იმავე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე იყო აღიარებული, როგორც ხარჯი.

თუ გადაფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება როგორც ხარჯი. გადაფასების შემცირება აღიარდება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, სანამ შემცირება არ გადააჭარბებს იმავე აქტივისთვის გადაფასების რეზერვში არსებულ თანხას

შეფასება ხორციელდება საკმარისად რეგულარულად, იმისათვის რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმისგან, რაც იქნება განსაზღვრული რეალური ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო თარიღისთვის. გარკვეული მიწის და შენობების საღირსეზო ღირებულების აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან როდესაც მისი გამოყენების ან განკარგვისგან მოსალოდნელი არ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. მიწებისა და შენობების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი ან დანაკარგი (გამოითვლილი, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და ელემენტის საბალანსო ღირებულებას შორის) მათი აღიარების შეწყვეტისას შედის მოგებაში ან ზარალში

წინა შეფასებით განხორციელებული გადაფასების ნამატის შესაბამისი ნაწილი, გამოიყოფა მოგების ან ზარალისთვის, შეფასებული აქტივების ნამატიდან, გადაფასებული აქტივის განკარგვისას და მისი გამოყენების დროს.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით.

დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელებული გადაფასების საფუძველზე, კომპანიამ გადააფასა თავისი დანადგარები ცვეთის კატეგორიებში "ლაბორატორიის დანადგარები" და "საზომი და სამართავი ხელსაწყოები" და შექმნა გადაფასების რეზერვები, რომლებიც გადადის გაუნაწილებელ შემოსავალში / დაგროვილ ზარალში დამტკიცებული ცვეთის პოლიტიკის შესაბამისად.

დანადგარების განკარგვაზე შემოსავალი და დანაკარგი აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგების სხვა მოგებაში ან ხარჯებში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, გადაფასების რეზერვებში შეტანილი თანხები გადადის გაუნაწილებელ შემოსავლებში.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკეული აქტივი, სათანადოდ, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა მოვლა-შენახვის ხარჯი აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიქმნა.

(iv) ცვეთა

მიწის და დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების ცვეთა არ ხდება. ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სხვა ელემენტების ცვეთის გაანგარიშება ხორციელდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით იმისათვის რომ განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე ან მათ ნარჩენ ღირებულებებზე შემდეგნაირად:

შენობები

20 წელი

მოწყობილობა და ინვენტარი

1-დან 8 წლამდე

სხვა

10 წელი

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება არის თანხა რომელიც მოსალოდნელია დარჩეს კომპანიას, გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯების გამოკლებით, აქტივის მომსახურების ვადის ამოწურვისას და მისი სასარგებლო გამოყენების პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადები განიხილება, და საჭიროებისამებრ კორექტირდება, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის საორიენტაციო ანაზღაურებად ღირებულებას.

მოგება და ზარალი განკარგვაზე განისაზღვრება როგორც სხვაობა განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და განკარგული აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლებში / ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

პატენტები, ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა

(i) *არამატერიალური აქტივების მფლობელობა*

პატენტები, ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება წარმოებული ხარჯების საფუძველზე კონკრეტული აქტივის შეძენისა და გამოყენებისთვის.

(ii) *შემდგომი დანახარჯები*

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზრდის აქტივის გამოყენებიდან მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი განიხილება შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად, წარმოქმნისას.

(iii) *ამორტიზაცია*

დაუმთავრებელი მშენებლობის არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ხდება. სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშება ხორციელდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით იმისათვის რომ განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე ან მათ ნარჩენ ღირებულებებზე შემდეგნაირად:

მესამე მხარის ქონების გამოყენების უფლება

1 დან 2 წლამდე

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღიარებულია, როგორც აქტივი, როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნის ალბათობა ინვესტიციიდან და როდესაც შეიძლება ინვესტიციის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას, რომლის დაკავება ხორციელდება ან ქირავნობის შემოსავლის მოსაპოვებლად, ან კაპიტალის ნამატისთვის, ან ორივესთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა აღნიშნული მოგება თუ ზარალი.

ქონების, დანადგარების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის კომპანია განიხილავს მისი ქონების, დანადგარების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს რათა განსაზღვროს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების ზარალი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ნებისმიერი ზარალის მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კვლევი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. იმ შემთხვევებში როდესაც შესაძლებელია განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კომპანიის აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, და ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება ყოველწლიურად, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული თანხით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც გადაფასების შემცირება, შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, რომელიც მოიცავს ძირითადი აქტივის(ების) გადაფასების მოთხოვნებს.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შერუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

მარაგები

მიმდინარე სამუშაოს და საბოლოო პროდუქციის ღირებულება მოიცავს ნედლეულს, უშუალო მუშახელს, სხვა პირდაპირ ხარჯს და გამომუშავებასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური ოპერაციული დატვირთვის საფუძველზე).

სავაჭრო საქონელი აისახება შესყიდვისა და გაყიდვის ფასის ნაკლებ ფასში (მოქმედი ბეგარის და ფასნამატის გამოკლებით).

მცირე ფასიანი მარაგები და ხელსაწყოები იხარჯება გამოყენებისას.

სავაჭრო დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება ღირებულებით, რაც უდრის აღიარების მომენტში არსებული რეალურ ღირებულებას და შემდგომში იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, თუ არსებითია, და თუ არა, ნომინალური ღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა საჭირო თანხის დაგროვებას დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების შესაბამისად. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა რომ მოვალე გაკოტრდება, აგრეთვე გადაუხდელობა ან გადახდის გადავადება განიხილება იმის ინდიკატორებად რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეიძლება გაუფასურდეს. რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველი აღიარებისას. ადრე ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების თანხა აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, ბანკებში დარიცხულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, დაფარვის თავდაპირველი ვადით სამი თვით ან უფრო ნაკლებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საბანკო ოვერდრაფტები შედის მიმდინარე ვალდებულებების სესხებში.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული მოგება აისახება კაპიტალში, როგორც გამოქვითვა, საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით, შემოსავლიდან. გაცემული აქციების ნომინალურ ღირებულებით მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ნებისმიერი გადაჭარბება ნაჩვენებია შენიშვნებში, როგორც საემისიო შემოსავალი. თუ კომპანია შეისყიდის თავისი სააქციო კაპიტალს (სახაზინო აქციებს), გადახდილი ანაზღაურება, მათ შორის გარიგების უშუალო ხარჯები (საშემოსავლო გადასახადების გამოკლებით), გამოიქვითება კომპანიის აქციონერებისადმი მიკუთვნებული კაპიტალიდან მანამდე სანამ აქციები გაუქმდება ან ხელახლა გამოიცემა ან განიკარგება. თუ ასეთი აქციები შემდგომ გაიყიდება ან ხელახლა გამოიცემა, ნებისმიერი მიღებული ანაზღაურება აისახება კაპიტალში, ნებისმიერი გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯის და მასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შედეგების გამოკლებით

თანამშრომლების ბენეფიტები

(i) საპენსიო ვალდებულებები და დასაქმების დასრულების შემდგომი სარგებელი

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანია ხელფასიდან დაქვითვის მეშვეობით ახორციელებს გადარიცხვას სავალდებულო საპენსიო ფონდში თავისი თანამშრომლების სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სავალდებულო საპენსიო ფონდში შეტანილი ყველა გადარიცხვა, განხორციელებისას აღირიცხება, როგორც ხელფასის დანახარჯი. კომპანია არ არის ვალდებული უზრუნველყოს სხვა სარგებელი დასაქმების დასრულების შემდეგ.

(i) საბოლოო ბენეფიტები

საბოლოო ბენეფიტების გადახდა ხორციელდება როდესაც დასაქმება წყდება კომპანიის მიერ ნორმალურ საპენსიო თარიღამდე ან როდესაც თანამშრომელი თანხმდება ნებაყოფლობით შემცირებას ამ სარგებლის სანაცვლოდ. კომპანია აღიარებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგადად, როდესაც იგი ცხადად ეხება შემდგომი ფაქტორებიდან ერთს: ამჟამინდელი თანამშრომლების დასაქმების შეწყვეტა დეტალური ოფიციალური გეგმის შესაბამისად, უკან აყვანის შესაძლებლობის გარეშე; ან ხელშეკრულების შეწყვეტის ბენეფიტების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი შემცირების წახალისების მიზნით გაკეთებული შეთავაზების შედეგად

(ii) ჩვეულებრივი საპენსიო ბენეფიტები

საანგარიშო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გადასახდელი ბენეფიტები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დამოუკიდებელი აქტუარის მიერ ყოველ საანგარიშო თარიღზე შესრულებული გაანგარიშების საფუძველზე, დაშვებით გამოყენებით რომელიც ეხება იმ პერსონალის რაოდენობას რომელიც სავარაუდოდ მიიღებს ჩვეულებრივ საპენსიო ბენეფიტს, ბენეფიტების სავარაუდო ხარჯებს და ხორვატიის რესპუბლიკის მიერ გამოშვებული ობლიგაციების შემოსავლიანობის ნორმის ტოლ ფასდაკლების განაკვეთს. აქტუარული მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია გამოცდილების საფუძველზე კორექტირების და აქტუარული დაშვებების ცვლილებების შედეგად, დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

რეზერვები

რეზერვები აღიარებულია, როდესაც კომპანიას გააჩნია ამჟამინდელი ვალდებულება (კანონიერი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა (ე.ი. დიდი ალბათობით, ვიდრე არა), რომ საჭირო იქნება რესურსების გადინება ვალდებულების შესასრულებლად, და შეიძლება გაკეთდეს საიმედო შეფასების ვალდებულების თანხაზე. რეზერვები განიხილება თითოეული საანგარიშო თარიღისთვის და კორექტირდება, რომ ასახოს მიმდინარე საუკეთესო ხარჯთაღრიცხვა. თუ ფასდაკლების შედეგი არსებითია, რეზერვების ოდენობა წარმოადგენს იმ ხარჯების ამჟამინდელ ღირებულებას, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გადასახდელად, რაც განისაზღვრება გაანგარიშებული რისკისგან-თავისუფალი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც ფასდაკლების განაკვეთისა. ფასდაკლების გამოყენებისას, ასეთი ფასდაკლების შეცვლა ყოველ წელს აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი და რეზერვის საბალანსო ღირებულება ყოველ წელს იზრდება, რაც ასახავს დროის გასვლას.

საოპერაციო სეგმენტის ანგარიშგება

კომპანია ახორციელებს მოქმედი სეგმენტების გამოვლენას კომპანიის კომპონენტების შესახებ შიდა მოხსენებების საფუძველზე, რომელიც რეგულარულად განიხილება მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღების მიერ (რომელიც განისაზღვრა, როგორც კომპანიის მმართველი საბჭო), რათა განაწილდეს რესურსები სეგმენტებზე და შეფასდეს მათი შესრულება.

აქციაზე შემოსავალი

კომპანია წარმოადგენს მონაცემებს ერთ აქციაზე საბაზო და განზავებული შემოსავლის შესახებ თავისი ჩვეულებრივი აქციებისთვის. საბაზო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების ან ზარალის შეფარდებით პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები განზრახულია საფინანსო ორგანიზაციების მიმართ უზრუნველყოფილი ვალის დასაფარად, რომლებმაც უარი არ თქვეს თავიანთ ცალკეული ანგარიშსწორების უფლებაზე გაკოტრებამდე რეგულირების პროცესში. საბაზრო ღირებულება დადგინდა დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშის საფუძველზე, რომელიც დაემყარა ღირებულების მეთოდს, შედარებით მეთოდს და/ან შემოსავლის მეთოდს, ქონების სახეობიდან გამომდინარე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

გასამრეგლოები, ხელფასები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანები, გადახდილი ყოველწლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები, და არა-მატერიალური შეღავათები ექვემდებარება დარიცხვას კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურებების შესრულების წლის შესაბამისად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან მოსაზრებების, შეფასებების და დაშვებების გაკეთებას რაც ზემოქმედებს შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ასახულ თანხებზე და თანმდევ განმარტებით შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. ამ დაშვებების და შეფასებების განუსაზღვრელობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგი რაც განაპირობებს აქტივების ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვან კორექტირებას მომდევნო პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა განმარტებას

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. საჭიროა ხელმძღვანელობის მსჯელობა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივების ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს სავარაუდო ვადის, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანიამ გამოიყენა განსჯა რათა განესაზღვრა ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სასარგებლო მომსახურების ვადა, ისეთი ფაქტორების მხედველობაში მიღებით როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება, მატერიალური წარმოების აქტივების სავარაუდო წარმადობის და მოსალოდნელი ცვეთის გათვალისწინებით, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობამ საუკეთესო შეფასების მეშვეობით განსაზღვრა აქტივებში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გამოყენების სტრუქტურა, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე

მზაობის შეფასება სამშენებლო კონტრაქტებზე

კომპანია აღიარებს სამშენებლო კონტრაქტებში მიღებულ შემოსავალს „მზაობის“ მეთოდის საფუძველზე, რომელიც იზომება საანგარიშო თარიღამდე გაწეული კონტრაქტის ხარჯების მიხედვით, როგორც თითოეული კონტრაქტის მთლიანი საანგარიშო ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი და როდესაც შედეგობრივი დებიტორული დავალიანების ამოღება გონივრულად არის გარანტირებული. როდესაც კომპანია თვლის, რომ შემოსავლის აღიარების კრიტერიუმები არ არის შესრულებული გარიგებისთვის, შემოსავლის აღიარება ყოვნდება ასეთ დრომდე.

„მზაობის“ მეთოდს მენეჯმენტი განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: (ა) კონტრაქტის სრული შემოსავალი შეიძლება შეფასდეს საიმედოდ; (ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ორგანიზაციას; (გ) როგორც კონტრაქტის დასრულების საკონტრაქტო ხარჯები, ასევე საანგარიშო პერიოდის ბოლოს კონტრაქტის დასრულების ეტაპი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; და (დ) კონტრაქტისთვის განკუთვნილი საკონტრაქტო ხარჯები შეიძლება აშკარად იდენტიფიცირდეს და შეფასდეს საიმედოდ, ისე, რომ კონტრაქტის ფაქტიური ხარჯები შეიძლება შეედაროს წინა შეფასებებს.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია დებს გარიგებებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ბასს“ 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას თავიანთ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობა ხორციელდება იმის განსაზღვრავად, გარიგებები თუ ფასდება საბაზრო ან არასაბაზრო ტარიფებით, როდესაც ასეთი გარიგებებისთვის აქტიური ბაზარი არ არის. განსჯის საფუძველია ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებებისთვის.

4. ბასს-ის მიერ გამოცემული ახალი ან გადახდილი ნორმები და განმარტებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ფასს 17 მოითხოვს სადაზღვევო ვალდებულებების შეფასებას შესრულების მიმდინარე ღირებულებით და უზრუნველყოფს გაზომვისა და წარდგენის უფრო ერთგვაროვან მიდგომას ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის. ეს მოთხოვნები შემუშავებულია სადაზღვევო კონტრაქტების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული აღრიცხვის მიზნის მისაღწევად. ფასს 17 ანაცვლეს ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად - (ბასს 1-ის შესწორებები)

შესწორებები მიზნად ისახავს მოთხოვნების გამოყენების თანმიმდევრულობის ხელშეწყობას დაეხმარება რა კომპანიებს იმის განსაზღვრაში მოახდინონ თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანგარიშსწორების გაურკვეველი თარიღის ვალის და სხვა ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან (დასაფარი ან პოტენციურად დასაფარი ერთი წლის განმავლობაში) ან გრძელვადიან ვალდებულებებად. წლიური საანგარიშგებო პერიოდები დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ

კონცეპტუალური ჩარჩო (ფასს 3-ის შესწორებები)

შესწორებებით განახლდება ფასს 3-ში მითითებული კონცეპტუალური ჩარჩო სტანდარტის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ქონება, დანადგარები და მოწყობილობა—შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)

ცვლილებები კრძალავს „ქონება, დანადგარები და მოწყობილობა“ კატეგორიის მუხლის ღირებულებიდან გამოქვითვას ნებისმიერი შემოსავლის გაყიდვიდან, რომელიც წარმოებულია ამ აქტივის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომობამდე, ანუ აქტივის იმ ადგილამდე და მდგომარეობამდე მიყვანამდე, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მას შეეძლოს მუშაობა მენეჯმენტის მიერ განზრახული მიზნობრივობით. შესაბამისად, ორგანიზაცია გაყიდვების ასეთ შემოსავალს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოგებაში ან ზარალში აღიარებს. 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის შესწორებები)

ცვლილებები აკონკრეტებს, რომ ხელშეკრულების „შესრულების ღირებულება“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებასთან“. ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებას, შედგება როგორც ამ ხელშეკრულების შესრულების დამატებითი ხარჯებისგან (მაგალითები იქნება შრომის ან მასალების პირდაპირი ხარჯები) და სხვა ხარჯების განაწილებისგან, რომლებიც უშუალოდ ეხება კონტრაქტების შესრულებას (მაგალითი იქნება ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული „ქონება, დანადგარები და მოწყობილობა“ მუხლის ამორტიზაციის ხარჯის განაწილება). 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლის წლიური გაუმჯობესება.

შეაქვს შესწორებები შემდეგ სტანდარტებში:

- ფასს 1 – ცვლილება ნებას რთავს შვილობილი კომპანიას, რომელიც იყენებს ფასს 1-ის D16(a) პარაგრაფს, რომ აირჩიოს კუმულაციური გადაანგარიშების განსხვავებების აღრიცხვა მისი მშობლის მიერ ასახული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე.
- ფასს 9 - ცვლილება განმარტავს, თუ რომელ საკომისიოებს მოიცავს ორგანიზაცია, როდესაც იყენებს ფასს 9-ის B3.3.6 პუნქტის „10 პროცენტ“ კრიტერიუმს ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების აუცილებლობის შეფასებისას. ორგანიზაცია მოიცავს მხოლოდ ორგანიზაციის (მსესხებელს) და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ საკომისიოს, მათ შორის საკომისიოს, რომელიც გადახდილი ან მიღებულ იქნა ორგანიზაციის ან გამსესხებლის მიერ სხვა მხარის სახელით.
- ფასს 16 -ის შესწორება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება, იჯარის სტიმულირების რეჟიმთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის მოსაგვარებლად რაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო იმ მაგალითში ილუსტრირებული იჯარის სტიმულის მიხედვით.
- ბასს 41 - ცვლილებით უქმდება ბასს 41-ის 22-ე პუნქტის მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა გამორიცხოთ საგადასახადო ფულადი ნაკადები, ფაქტიური ღირებულების მეთოდის გამოყენებით ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისას

2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ფასს 17-ის შესწორებები

ასწორებს ფასს 17-ს არსებული პრობლემების და გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებიც გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები გამოქვეყნდა 2017 წელს.. ძირითადი ცვლილებებია:

ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღის გადავადება ორი წლით, 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის

- დამატებითი გამორიცხვა საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებისთვის და მსგავსი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას, ასევე არჩევითი გამორიცხვა სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გადაცემენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს
- აღიარება სადაზღვევო მომსახურების შემენის ფულადი ნაკადებისა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებას, გარდამავალი დებულებებისა და სადაზღვევო მომსახურების შემენის იმ ფულადი ნაკადების რეკომენდაციების ჩათვლით, რა ფულადი ნაკადებიც აღიარებულია ბიზნესში, ბიზნეს გაერთიანების შედეგად.
- ფასს 17-ის გამოყენების განმარტება შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალებას ანგარიშვალდებული ორგანიზაციის დონეზე
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჯის გამოყენების განმარტება, რომელიც ეხება საინვესტიციო შემოსავლის მომსახურებას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ მომსახურებას და ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამისი მოთხოვნების ცვლილებებს
- რისკის შერბილების ვარიანტის გაფართოება დადებული სადაზღვევის ხელშეკრულებებისა და არაფინანსური წარმოებული ინსტრუმენტების ჩათვლით
- შესწორებები რომლებიც მოითხოვს ორგანიზაციისგან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას აღიარებს ზარალს გაცემულ წამგებიან სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, ასევე აღიაროს მოგება დადებული სადაზღვევის ხელშეკრულებებიდან
- სადაზღვევო ხელშეკრულებების გამარტივებული წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ისე, რომ ორგანიზაციებმა წარმოადგინონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც განისაზღვრება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის გამოყენებით და არა სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების გამოყენებით
- დამატებითი შეღავათი ბიზნეს გაერთიანებაზე გადასვლისას, დამატებითი შეღავათი რისკის შერბილების ვარიანტის გამოყენების თარიღზე გადასვლისას და რეალური ღირებულების გადასვლის მიდგომის გამოყენებისას

ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების მოქმედების ვადის გაგრძელება (ფასს 4-ის შესწორებები)

შესწორება ცვლის ფასს 4-ის სადაზღვევო ხელშეკრულებებში დროებითი გათავისუფლების ფიქსირებულ ვადის გასვლის თარიღს ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისგან, ასე რომ, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ გამოიყენონ ფასს 9 წლიური პერიოდებისთვის, დაწყებული 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად - ძალაში შესვლის თარიღის გადავადება (ბასს 1-ის შესწორება)

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შესწორება აახდენს 2020 წლის იანვრის ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღს ერთი წლით გადავადებას, ასე რომ, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შესწორების გამოყენება 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ერთი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი, აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის ცვლილებები)

შესწორებები განმარტავს, რომ თავდაპირველი აღიარების განთავისუფლება არ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებშიც პირველადი აღიარებისას წარმოიქმნება გამოქვითვადი და დასაბეგრი დროებითი განსხვავებების თანაბარი ოდენობა.

2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

5. ქონება, დანადგარები და მოწყობილობა

	მექანიზმები და მოწყობილობა	საოფისე მოწყობილობა და აპარატურა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული გაუმჯობესება	სულ
2019 წლი 31 დეკემბერი	188	147	414	1	750
მატება	-	-	-	-	-
გასვლა	54	-	-	-	54
2020 წლის 31 დეკემბერი	134	147	414	1	695
მატება	-	-	-	-	-
გასვლა	(4)	(5)	(272)	-	(280)
2021 წლის 31 დეკემბერი	130	141	142	1	415
დაგროვილი ცვეთა					-
2019 წლის 31 დეკემბერი	66	125	176	1	368
ცვეთის დარიცხვა	25	12	76	-	113
2020 წლის 31 დეკემბერი	91	136	252	1	481
ცვეთის დარიცხვა	15	6	51	-	73
გასვლა	(3)	(5)	(187)	-	(195)
2021 წლის 31 დეკემბერი	104	138	116	1	358
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	122	22	238	-	382
2020 წლის 31 დეკემბერი	43	10	162	-	215
2021 წლის 31 დეკემბერი	26	4	27	-	57

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2,268	2,704
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	1
სხვა დებიტორული დავალიანებები	1	-
დებიტორული დავალიანებები არარეზიდენტებისგან	-	133
	2,269	2,838
საექვო ვალდების მარაგი	(1,696)	(76)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	572	2,761

ქვედა ცხრილში ნაჩვენებია დებიტორული დავალიანების ვადები:

< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
------	-------	-------	--------	---------	------	-----

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ოდენობა	(159)	-	(6)	(167)	(562)	(1,373)	(2,267)
რეზერვის პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვი	-	-	(0)	(42)	(281)	(1,373)	(1,696)

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	395	150
ნაღდი ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	148	161
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	542	311

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებში შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც რისკისგან თავისუფალი, იმის გათვალისწინებით რომ ბანკები, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ სანდო და კარგად-ცნობილ ქართულ საკრედიტო დაწესებულებებს

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გაცემული სესხი	53	128
დარიცხული პროცენტი	9	89
სულ გაცემული სესხები	62	216

2020 წელს კრედიტი გაცემულია მშობელ კომპანიაზე სს ინსტიტუტ იგპ, ხორვატია და შპს „Avenue Mehanizacija“

2020 წელს კომპანიამ მიიღო კრედიტის გადასახადი მშობელი კომპანიისგან და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის დებიტორული დავალიანების თანხა უკავშირდება მხოლოდ შპს „Avenue Mehanizacija“-ზე გაცემულ სესხს.

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო დავალიანება	613	1,728
სახელფასო დავალიანება	70	123
სხვა დავალიანება	39	5
დაკავშირებული მხარისთვის გადასახადი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	722	1,857

10. შემოსავალი

შემოსავალი	2021	2020
საოპერაციო შემოსავალი	1,093	10
დარიცხული შემოსავალი	-	-
სულ შემოსავალი	1,093	10

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	2021	2020
საპროექტო მომსახურება სნო-ჯუთა	809	-
მოდერნიზაციისა და სარემონტო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება - მენეჯმენტის მომსახურება	35	-
სხვა	-	10
ლაბორატორია	76	-
სკოლის რეაბილიტაცია	173	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	1,093	10

11. განხორციელებული მომსახურების ღირებულება

განხორციელებული მომსახურების ღირებულება	2021	2020
მცირე მარაგები	6	4
საწვავი	26	16
წარმოების ხარჯები	-	-
სხვა დაკავშირებული ხარჯები	-	-
სახელფასო ხარჯები	-	688
ცვეთის ღირებულება	15	52
ქვე-კონტრაქტორის ხარჯები	84	1,053
ცვეთის ხარჯები	1	1
სულ განხორციელებული მომსახურების ღირებულება	132	1,814

12. ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
სხვა ხარჯები	97	74
წარმოების ხარჯები	4	15
სახელფასო ხარჯები	531	475
კომუნალური ხარჯები	72	122
საკონსულტაციო ხარჯები	189	96
საფოსტო გადასახადის ხარჯები	1	1
ცვეთის ხარჯი	58	61
ქვეკონტრაქტორის ხარჯები	-	-
სხვა დაკავშირებული ხარჯები	11	26
საგადასახადო ხარჯები	7	4
სულ ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	968	874

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს ანაზღაურებასთან და ხელფასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

13. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

2021 წლის არაოპერაციული შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. კერძოდ, მანქანების რეალიზაციიდან. სხვა არაოპერაციული შემოსავალი შეადგენს 110 ათას ქართულ ლარს 2021 წელს და 97 ათას ქართულ ლარს 2020 წელს.

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა წარმოადგენს ცვლადი განმარტებების და ცვლილებების საგანს, რისი დაფიქსირებაც ხშირად შესაძლებელია. ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ განმარტებებს კანონმდებლობაზე, რაც ვრცელდება კომპანიის მიერ განხორციელებულ გარიგებებსა და საქმიანობაზე, შეიძლება შეედავოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები. საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას მიმართონ კანონმდებლობის თავისუფალ ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებებისას, ასევე შესაძლებელია რომ იმ ოპერაციებზე და საქმიანობებზე, რომელთა მიმართაც ადრე კითხვები არ იყო, ახლა გაჩნდეს კითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს აუცილებელი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საპროცენტო განაკვეთები. ხელმძღვანელობა თვლის რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ადეკვატურია და კომპანიის საგადასახადო და სავალუტო კანონმდებლობა, ასევე საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება. შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრისთვის პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების პირობა არ აღრიცხულა

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასობრივ რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ ძირითადი ამოცანების რისკებისადმი მიდრეკილება არ გასცდეს ამ საზღვრებს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირებისთვის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (გ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო სიტუაციის ცვლილებებს. ხელმძღვანელობა აწესებს შეზღუდვებს რისკის სიდიდეზე რაც შეიძლება იქნეს მიღებული, რომლის მონიტორინგიც ხორციელდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ამ შეზღუდვების მიღმა დანაკარგები, უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებების პირობებში. ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს - მაგალითად საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს იმ გაცვლის კურსის ცვლილებები რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს კონკრეტულ გარიგებებს, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტის ნომინალში. კომპანია არ იყენებს დერივატულ ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოური ვალუტის რისკის სამართავად. ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს ამგვარი რისკის შემსუბუქებას ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მართვით უცხოურ ვალუტაში კომპანიის დონეზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია რომლის წინაშეც ორგანიზაცია დგება მაშინ როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი დაფარვის საკონტრაქტო ვადით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული თანხისგან რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულადი ნაკადებს. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ვალდებულებები 31-დეკ-21	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	722	-	-	722
სულ ფინანსური ვალდებულებები	722	-	-	722

ფინანსური ვალდებულებები 31-დეკ-20	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,857	-	-	1,857
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,857	-	-	1,857

ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	572			572
წინასწარი გადახდები	-			-
გაცემული სესხები	62			62
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	542			542
სულ ფინანსური აქტივები	1,177			1,177

ფინანსური აქტივები 31-დეკ-20	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,761	-	-	2,761
წინასწარი გადახდები	73	-	-	73
გაცემული სესხები	216	-	-	216
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	311	-	-	311
სულ ფინანსური აქტივები	3,361	-	-	3,361

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ რა მოთხოვნები აქვთ მათ კომპანიის კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავისი კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც კომპანია ოპერირებს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც თანხა, რაზეც შეიძლება ინსტრუმენტი გაიყიდოს მიმდინარე გარიგების დროს გათვითცნობიერებულ და მსურველ მხარეებს შორის, დამოუკიდებელ მხარეებს შორის წარმოებული გარიგების დროს, იძულებითი ან სალიკვიდაციო გაყიდვის გარდა.

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასებები უცილობლად არ ასახავს თანხებს, რის რეალიზებასაც შეძლებდა კომპანია კონკრეტული ინსტრუმენტის აქციების თავისი სრული პაკეტის გაყიდვით ბაზარზე. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-21 საბალანსო ღირებულება	31-დეკ-21 რეალური ღირებულება	31-დეკ-20 საბალანსო ღირებულება	31-დეკ-20 რეალური ღირებულება
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	542	542	311	311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	572	572	2,761	2,761
წინასწარი გადახდები	-	-	73	73
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	722	722	1,857	1,857

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიასთან (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და ერთი მშობელი ფირმის შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას კომპანიაზე და რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლი კომპანიაზე;
- ბ) ასოცირებულ კომპანიებს - საწარმოებს, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ინვესტორის ერთობლივი საწარმო.
- გ) ერთობლივ საწარმოებს, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- დ) კომპანიის ან მისი მშობლის უმაღლესი მენეჯმენტის პერსონალის წევრებს
- ე) ნებისმიერი პირის ოჯახის უახლოეს წევრებს, რომელიც ნახსენებია ა) ან დ)-ში
- ვ) მხარეებს, რომლებიც არიან ორგანიზაციები კონტროლირებადი, ერთობლივად კონტროლირებადი, ან განიცდიან მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება ასეთ ორგანიზაციაში აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან ე)-ში ნახსენებ ნებისმიერ პირს; ან
- ზ) დასაქმების შემდგომ მისაღებ სარგებლის გეგმებს კომპანიის თანამშრომლებისთვის ან ნებისმიერი ორგანიზაციისთვის რომელიც წარმოადგენს კომპანიასთან დაკავშირებულ მხარეს.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

კომპანია ეკუთვნის (100%) სააქციო საზოგადოება სს ინსტიტუტი იგ3-ს, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ხორვატია. კომპანიის დაკავშირებული მხარეებია მისი აქციონერები, უმაღლესი მენეჯმენტი და სხვა, როგორც აღწერილია ქვემოთ.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის ჰქონდა შემდეგი გადაუხდელი თანხები

1000 ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
აქციონერები	
გაცემული სესხები	52
დარიცხული პროცენტი, დებეტი	9
დარიცხული პროცენტი, კრედიტი	-
უმაღლესი მენეჯმენტი და უახლოესი დაკავშირებული პირები	
ხელფასები და ბონუსები	251

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

სააქციო საზოგადოება სს ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ხორვატია

18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე რაც ნიშნავს, რომ კომპანია შეძლებს თავისი საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობების შესრულებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 15 ივლისს. 2022 წელს კომპანია ახალ ტენდერში ჩაერთო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად.

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის
კვლევებისა და განვითარების საკითხებში
უცხოური საწარმოს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით

მეხიომ გაყუჭვი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების და ზარალის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	31

შეხილეთ დოკუმენტი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

„სს ინსტიტუტ იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“-ს ხელმძღვანელობას:

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ „სს ინსტიტუტ იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და მოგების და ზარალის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, და ფინანსურ ანგარიშგებაზე შენიშვნებისაგან, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძვლის პარაგრაფში აღწერილი საკითხების გარდა და გავლენის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ობიექტურად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, კომპანიის ფინანსურ პოზიციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების კლასიფიკაციის სისწორეს. მეტიც, ჩვენ ვერ მივიღეთ მიღებული თანხების სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიღებული სესხის ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 724 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთების დადასტურება, რადგან ვერ მივიღეთ დამადასტურებელი წერილები ან სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებები კომპანიის მოვალეობისგან. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთები შეადგენს 141 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 141 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ დავაზუსტეთ შესაბამისი მოვალეობის არსებობა და თუ ისინი არსებობენ, იყო თუ არა თანხები სწორი და იყო თუ არა აღრიცხული თუ აუღრიცხავი სავაჭრო დებიტორული დავალიანების კორექტირების საჭიროება.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ნაშთების დადასტურება, რადგან ვერ მივიღეთ დამადასტურებელი წერილები ან რაიმე სხვა დამადასტურებელი მტკიცებულება კომპანიის მოვალეობისგან. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ნაშთები შეადგენს 315 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 315 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ დავადგინეთ შესაბამისი კრედიტორების არსებობა და თუ ისინი არსებობენ, იყო თუ არა თანხები სწორი და იყო თუ არა აღრიცხული თუ აუღრიცხავი სავაჭრო კრედიტორული დავალიანების კორექტირების საჭიროება.

ჩვენ ვერ ვიძლეოთ გაცემული სესხების რეალური ღირებულების სისწორის გარანტიას. უფრო მეტიც, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დამადასტურებელი წერილი. გაცემული სესხების ბალანსი შეადგენს 62 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და 216 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

შეხიპ ღიუ შვანი

ჩვენ არ მიგვიღია საკმარისი მტკიცებულება იმაში დასაბუთებლად, შედარებითი მაჩვენებლების შემოსავალი აღიარებული იყო თუ არა შესაბამის პერიოდებში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება გამოსაქვეყნებლად.

ჩვენი აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები იმ სტანდარტების შესაბამისად შემდგომ აღწერილია ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების ნაწილში აუდიტისთვის აუდიტორის პასუხისმგებლობებში, ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობი ვართ ზუღაღატურთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ზუღაღატურთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ეთიკის მოთხოვნებთან ერთად, რაც ეხება ჩვენი აუდიტის განხორციელებას ფინანსურ ანგარიშგებაზე საქართველოში, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს ჩვენი მოსაზრებისთვის.

სხვა საკითხები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 21 აპრილს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ მოიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები და ანგარიშგებისას გამოიყენოს კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ მას არ გააჩნია რეალური ალტერნატივა ასეთი ქმედების გარდა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას მოიცავს.

გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაგლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

მეხიამ დაუშვია

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

ჩვენ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოვავსებ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ახსნა-განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი ახსნა-განმარტებები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ჩვენ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართვეის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რის შედეგადაც მომზადდა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ანა ოსიყმიშვილი

ანა ოსიყმიშვილი

შპს ქუდოს ჯორჯია-ს სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივლისი, 2022

ანა ოსიყმიშვილი

სს ინსტიტუტი იგპ, საექციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, დანადგარები და მოწყობილობა	5	57	215
არამატერიალური აქტივები		3	5
სულ გრძელვადიანი აქტივები		60	219
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		26	26
საკონტრაქტო აქტივი		-	-
საგადასახადო აქტივი		-	-
საავანსო გადახდა		-	73
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	572	2,761
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების			
ექვივალენტები	7	542	311
გაცემული სესხები	8	62	216
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,202	3,387
სულ აქტივები		1,262	3,606
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(429)	1,316
მფლობელის კაპიტალი		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(429)	1,316
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	722	1,857
მიღებული ავანსები		-	-
გადასახდელი მიმდინარე საშემოსავლო			
გადასახადი		4	4
სახელშეკრულებო ვალდებულებები		-	299
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		241	131
კრედიტები და სესხები		724	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,692	2,290
სულ ვალდებულებები		1,692	2,290
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,262	3,606

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5 გვერდებზე.

შეიძენილია

სს ინსტიტუტი იგ.პ. საქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
მოგების და ზარალის ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020 გადაანგარიშებული
შემოსავალი			
ფინანსური შემოსავალი	10	1,093	10
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11	6 (132)	29 (1,814)
მთლიანი მოგება		967	(1,775)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები უიმედო და სავსე დებიტორული დავალიანების რეზერვი	12	(968) (1,761)	(874) (76)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(1,762)	(2,725)
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	13	110	97
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები		(59)	(187)
გაცვლითი კურსის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი		(31)	157
ფინანსური ხარჯები		(3)	(2)
მოგება დაბეგვრამდე		(1,745)	(2,660)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(4)
პერიოდის სუფთა მოგება		(1,745)	(2,665)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5 გვერდებზე

მეხიამ დაუფიქრე

სს ინსტიტუტი იგ.პ. სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
გადაანგარიშებული ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,981	3,981
წლის მოგება		
გაცემული დივიდენდები	(2,665)	(2,665)
გადაანგარიშებული ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,316	1,316
წლის მოგება		
გაცემული დივიდენდები	(1,745)	(1,745)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(429)	(429)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.

დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5 გვერდებზე

მეჩიამ დაუჭერა

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, (ათას ქართულ ლარში)
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაპირდაპირი მეთოდი

	2021	2020 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება შემოსავლის დაბეგვრამდე	(1,745)	(2,660)
ქონების, დანადგარების და მოწყობილობის ცვეთა ზარალი (მოგება) უცხოური ვალუტის რევალვაციიდან, ნეტო	58 (31)	114 157
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		
(ზრდა) / კლება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	2,188	241
(ზრდა) / კლება წინასწარ გადახდებში	73	610
(ზრდა) / კლება მარაგში	0	9
ზრდა / (კლება) სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	(1,134)	93
(ზრდა) / კლება სახელშეკრულებო ვალდებულებებში	(299)	(203)
(ზრდა) / კლება საგადასახადო ვალდებულებებში	111	120
(ზრდა) / კლება გაცემულ სესხებში	154	824
ფულადი სახსრები მიღებული ოპერაციებიდან	(626)	(697)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	-	(387)
ნეტო ფულადი სახსრების შემოძინება / (გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(626)	(1,084)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების, დანადგარების და მოწყობილობის შეძენა IA-ს შეძენა	100 1	54 1
ნეტო ფულადი სახსრები (გამოყენებული) / წარმოქმნილი საინვესტიციო საქმიანობით	102	55
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული კრედიტები და სესხები	795	-
გადახდილი კრედიტები და სესხები	(71)	-
ნეტო ფულადი სახსრები (გამოყენებული) / წარმოქმნილი ფინანსური საქმიანობით	724	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	31	(14)
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	231	(1,043)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	311	1,354
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	543	311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 ივლისს.
 დირექტორი: რობერტ პეტროსიანი

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი
 ნაწილია. იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5 გვერდებზე

მეხიამ დაუფიქრა

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ფილიალი საქართველოში. კომპანია დაარსდა 2016 წლის 26 სექტემბერს. დარეგისტრირდა როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველოში, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, უზნაძის ქუჩაზე 57 ნომერში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროექტირება, კონსულტაცია და კვლევა სამოქალაქო ინჟინერიაში, კვლევისა და განვითარების საქმიანობის სფეროში.

ინსტიტუტი იგ3 საქართველო მუშაობს პროექტირებაზე საერთაშორისო და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის.

- მთელი საქართველოს მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის 700 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს გზების განვითარების დაკვეთით.
- ე.წ. სამთო გზების პროექტის შემუშავება.
- 170 მთლიანი სიგრძის სარეაბილიტაციო გზების და 28 ხიდის პროექტის შემუშავება და 26 ახალი ხიდის მშენებლობის პროექტირება დასრულებულია.

საქართველოს გარდა, ინსტიტუტი იგ3-ს ფილიალები აქვს ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, სერბეთში, ბულგარეთში, ალბანეთსა და კოსოვოში. კომპანია ასევე მუშაობდა ყაზახეთში, რუსეთსა და უკრაინაში.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"). ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობებით განპირობებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშებით კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავლებში. საკურსო სხვაობებით განპირობებული მოგება და ზარალი, წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების და სხვა სრული შემოსავლის სახით, როგორც „სავალუტო (ზარალი)/მოგება, ნეტო“.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 აშშ დოლარი / ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	3.5040	4.0233

მთავარი ანგარიშგება

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დასკვნა

წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე და 2021 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფ საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასსს") მიერ გამოცემული სტანდარტებით და განმარტებებით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგების და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს. რადგან სტანდარტები და განმარტებები რომლებიც, როგორც მოსალოდნელია ძალაში იქნება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენს „ბასსს“ ან ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ წარდგენის ან შესაძლო ცვლილებების დაფიქსირების საგანს, ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს ალბათობას რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ შესაძლოა მოითხოვოს კორექტირება ასეთი ცვლილებების გამო, საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

გამოყენებული ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპი არის პირვანდელი ღირებულების პრინციპი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილ საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში

წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

კომპანია რეტროსპექტიულად გაასწორებს წინა პერიოდში დაშვებულ არსებით უზუსტობებს და შეცდომებს, რომლებიც გამოვლინდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, და გაასწორებს ამ პერიოდში დაშვებულ უზუსტობებს და/ან შეცდომებს.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშთები დაშვებულია შემოწმების პერიოდამდე, გამოვლენილი შეცდომები გასწორდება და ნაშთები განახლდება იმ პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მიხედვით, რომელშიც ასეთი შეცდომა იყო დაშვებული. მენეჯმენტმა გადაწყვიტა შეიტანოს რეტროსპექტიული ცვლილება და ხელახლა მოახდინოს მოგება-ზარალის ანგარიშგების და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმულირება 2019 და 2020 წლებისთვის.

წინა პერიოდის შეცდომებისა და რეკლასიფიკაციების კორექტირების ზეგავლენა 2019 (2019) წლის 31 დეკემბრის და 2020 (2020) წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის და მოგება/ზარალის ანგარიშგებებზე, არის შემდეგი:

31.12.2019	წინა ანგარიშის მაჩვენებლები	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 31.12.2019
აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	3,664	(662)	3,002
საკონტრაქტო აქტივი	1,414	(1,414)	-
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,593)	(171)	(1,764)
სახელმწიფო ვალდებულებები	(1,256)	754	(502)
საშემოსავლო გადასახადები	78	54	132
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(5,420)	1,439	(3,981)
31.12.2020	წინა პერიოდში წარდგენილი	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 31.12.2020

მედიკალური ჯგუფი

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,945	(2,183)	2,762
საკონტრაქტო აქტივი	1,414	(1,414)	-
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,484)	(373)	(1,857)
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(1,256)	957	(299)
საშემოსავლო გადასახადები	(185)	54	(131)
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(4,275)	2,960	(1,315)
2020			
	წინა პერიოდში წარდგენილი	გადაანგარიშების შედეგი	გადაანგარიშებული 2020
შემოსავალი			
შემოსავალი	1,531	1,521	10
ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(962)	(88)	(874)
რეალიზებული მომსახურების ღირებულება	(1,802)	12	(1,814)
უიმედო და საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	-	76	(76)

საქმიანობის უწყვეტობა

ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი ჩანაფიქრები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების წვდომა, როგორც მოითხოვება საანგარიშო პერიოდის შემდეგ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტმა არ იცის რაიმე არსებითი განუსაზღვრელობების შესახებ რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უნარზე.

მიუხედავად კომპანიაზე Covid-19 ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, მენეჯმენტმა არ შეაჩერა თავისი საქმიანობა, მენეჯმენტმა განიხილა გლობალური პანდემიის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე, ამიტომ მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ კომპანიამ უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება მუშაობის პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ინვესტიციებს აქტივებში და ობლიგაციებში, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, სესხებს, კომერციულ ღოჯუმენტებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გაზრდილი გარიგების ხარჯებით, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით. არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შედეგად იზომება ქვემოთ აღწერილი გზით.

ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებულია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის სახელშეკრულებო უფლებები ფინანსური

შეიქმნა დოკუმენტი

აქტივებიდან ფულადი სახსრების გადინებაზე ამოიწურება ან თუ კომპანია გადასცემს ფინანსურ აქტივს სხვა მხარეს აქტივის კონტროლის ან არსებითად ყველა რისკის და შემოსავლის შენარჩუნების გარეშე. ინვესტიციების რეგულარული შესყიდვები და გაყიდვები აღიარებულია ვაჭრობის თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია კისრულობს აქტივის შეძენას ან გაყიდვას. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება თუ კონტრაქტში განსაზღვრული ჯგუფის ვალდებულებები ამოიწურება, შესრულდება ან გაუქმდება.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია რომლებიც განსაზღვრულია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ არის კლასიფიცირებული, როგორც (ა) სესხი და დებიტორული დავალიანება, (ბ) დაფარვადი დაკავებული ინვესტიცია ან (გ) მოგებით ან ზარალით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

კომპანიის ხელთ არსებული არა მოთხოვნილი აქციები და დარეგისტრირებული გამოსყიდვადი ბანკნოტები, რომლებიც ბრუნავს აქტიურ ბაზარზე კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი და აისახება რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება შენიშვნა 6-ში აღწერილი წესით. რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია პირდაპირ კაპიტალში ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომელშიც არ შედის გაუფასურების ზარალი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული პროცენტი და უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი ფულად აქტივებზე, რომლებიც პირდაპირ აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. თუ ინვესტიცია განკარგულია ან განსაზღვრულია გასაუფასურებლად, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დივიდენდები გასაყიდად ხელმისაწვდომ კაპიტალის ინსტრუმენტებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში როდესაც მტკიცდება აღნიშნული დივიდენდის მიღების უფლება.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება შესაბამის უცხოურ ვალუტაში და გადაყვანილია ანგარიშგების დღეს არსებული სპოტ სავალუტო კურსით. აქტივის ამორტიზირებული ღირებულების ცვლილებების შედეგად წარმოშობილი სავალუტო სხვაობებთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები აღიარებულია კაპიტალში.

გაყვანილი სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები, სავაჭრო ან სხვა დებიტორული დავალიანება ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მიმდინარე დებიტორული დავალიანებისა, როდესაც პროცენტის აღიარება არაარსებითი იქნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, იმათ გარდა რაც ფასდება მოგების ან ზარალის მემეობით რეალური ღირებულებით, შეფასებულია გაუფასურების ნიშნებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელიც დაფიქსირდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ზემოქმედება განიცადა ინვესტიციის სავარაუდო სამომავლო ფულადმა ნაკადებმა. ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც გასაყიდად განკუთვნილად ითვლება, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა მისი თვითღირებულების ქვემოთ წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას. ყველა სხვა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამოშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის დაგვიანებას ან გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა სავაჭრო დებიტორული დავალიანება ანუ აქტივები, რომლებიც შეფასდა ინდივიდუალურად არ გაუფასურებულად, დამატებით ფასდება გაუფასურებაზე ჯგუფურად. დებიტორული დავალიანების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებელი შეიძლება იყოს ბანკის წარსული გამოცდილება თანხების ამოღების თვალსაზრისით, ვადაგადაცილებული გადახდების რიცხვის ზრდა პორტფელში 360 დღიანი საშუალო

კრედიტის პერიოდის შემდეგ, ასევე ისეთი შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია მოთხოვნების დეფლატთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოძინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების ზარალი არ აღდგება შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით ყველა ფინანსურ აქტივზე სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში ისე, რომ გაუფასურების აღდგენის დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ამორტიზებული ღირებულების იმ ოდენობას, რომელიც ორგანიზაციას ექნებოდა, გაუფასურება რომ არ ეღიარებინა.

გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ფასიანი ქაღალდების მიმართ, თავდაპირველად მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი არ აღდგება მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალის შემდეგ რეალური ღირებულების ნებისმიერი ზრდა აღიარდება ინვესტიციის გადაფასების რეზერვში. გასაყიდად ხელმისაწვდომი სესხის ფასიანი ქაღალდების მიმართ, გაუფასურების ზარალი თავდაპირველად აღდგება მოგებაში ან ზარალში თუ ინვესტიციის რეალური ღირებულების ზრდა შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს იმ მოვლენას, რომელსაც ადგილი ქონდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანიის ფინანსური აქტივის აღიარება შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ კომპანიამ სხვა ორგანიზაციას გადასცა ფინანსური აქტივი და, არსებითად, აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და შემოსავლები. თუ კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავლებს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს უზრუნველყოფილ სესხებს შემოსავლის მისაღებად.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია, როგორც ვალი ან კაპიტალი

სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი საკონტრაქტო შეთანხმებების არსიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ორგანიზაციის აქტივებში ნარჩენ წილს, მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები რეგისტრირდება მიღებულ შემოსავლებთან, გამოშვების პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის სესხები, თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯით რაც აღიარებულია ფაქტიური შემოსავლის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეთოდი და საპროცენტო ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები, სახსრებზე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ემიტენტი ვალდებულია გადაუხადოს მფლობელს გარკვეული თანხა, როგორც კომპენსაცია, მფლობელის მიერ დაკარგული ზარალის ასანაზღაურებლად, რადგან მსესხებელმა არ შეასრულა მისი ვალდებულება დავალიანების ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით და, შემდგომ, თუ ისინი არ არის განსაზღვრული, რომ შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით, ფასდება უდიდესით:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ბასს 37-ით „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“;
- თავდაპირველი თანხა, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღიარებულია შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან მოქმედების ვადა დასრულდება.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები ის ორგანიზაციებია, რომლებშიც კომპანიას აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, განახორციელოს კონტროლი ოპერაციებზე. კონტროლი მიიღწევა სადაც კომპანიას აქვს უფლებამოსილება მართოს ორგანიზაციის ფინანსური და ოპერაციული პოლიტიკა, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან.

ინვესტიცია საქმიანობაში თავდაპირველად აღირიცხება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფაქტიური ღირებულებით გაუფასურების გამოქვეითვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურების ტესტირება ტარდება ყოველწლიურად.

ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში

ასოცირებული კომპანიები ის კომპანიებია რომლებშიც კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არა კონტროლი. მნიშვნელოვანი გავლენა მოიცავს ასოცირებული კომპანიის ფინანსურ და ოპერაციულ პოლიტიკებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამ პოლიტიკების კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიებში თავდაპირველად აღირიცხება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფაქტიური ღირებულებით გაუფასურების გამოქვეითვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურების ტესტირება ტარდება ყოველწლიურად.

შემოსავალი

შემოსავლები მოიცავს მიღებული საზღაურის ან პროდუქტის, საქონლის და მომსახურების გაყიდვის რეალურ ღირებულებას კომპანიის ჩვეული საქმიანობის დროს. შემოსავალი ნაჩვენებია, სუფთა დამატებული ღირებულების გადასახადით, საბითუმო შეღავათით და გაყიდვების ფასდაკლებით.

კომპანია ცნობს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ორგანიზაციას და კონკრეტული კრიტერიუმები იქნება შესრულებული კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის, როგორც აღწერილია ქვემოთ.

(i) მომსახურების გაყიდვა

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები უკავშირდება საპროექტო, სასწავლო, ზედამხედველობით, საკონსულტაციო მომსახურებებს, ლაბორატორიულ მომსახურებებს, სამიგრო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს. მომსახურების გაყიდვა აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის დროსაც ზდება მომსახურების გაწევა, კონკრეტული გარიგების დასრულების

მითითებით, რაც ფასდება ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე, როგორც მოწოდებული მთლიანი მომსახურების წარმოდგენილი ნაწილი.

კომპანია საზღვრავს საპროექტო საქმიანობების სახელშეკრულებო პროექტებს, როგორც ბასს 11-ის გამოყენების სფეროს.

კომპანია აღირებს საპროექტო კონტრაქტების შემოსავლებს და ხარჯებს საბალანსო თარიღისათვის სახელშეკრულებო სამუშაოს დასრულების საფარულად ეტაპზე დაყრდნობით.

სახელშეკრულებო სამუშაოების, პრეტენზიების და წამახალისებელი გადასახადების ვარიაციები შედის სახელშეკრულებო შემოსავალში იმ მოცულობით, რაც შეიძლება შეთანხმებულ იქნეს დამკვეთთან.

როდესაც კონტრაქტის შედეგი საიმედოდ არ შეიძლება შეფასდეს, სახელშეკრულებო შემოსავალი აღიარებულია მხოლოდ სახელშეკრულებო გაწეული ხარჯების ოდენობით, რისი ანაზღაურებაც შესაძლებელია. კონტრაქტის ხარჯები აღიარებულია როგორც გასავალი იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

როდესაც სავარაუდოა, რომ კონტრაქტის მთლიანი ხარჯები გადაჭარბებს კონტრაქტის მთლიან შემოსავალს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც ხარჯი

(ii) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს პროცენტს რომელიც ექვემდებარება გადახდას კრედიტზე ან სესხებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ჩადებულ საშუალებებზე მისაღებ პროცენტს, დივიდენდის შემოსავალს და მოგებას და ზარალს უცხოური სავალუტო კურსის განსხვავებიდან და მოგებას და ზარალს შეიღობილ კომპანიებში ინვესტიციის გაყიდვიდან. ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსავლები ასევე აისახება ფინანსური შემოსავლების ანგარიშში.

საპროცენტო შემოსავალი აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში თარიღით, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს ანაზღაურება.

ფინანსური ხარჯები მოიცავს პროცენტს სესხებზე, ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებაში ცვლილებას რეალური ღირებულებით მოგებიდან ან ზარალიდან, ფინანსური აქტივებიდან გაუფასურების ზარალს და უცხოური ვალუტის კურსით გამოწვეულ ზარალს. სესხის ალების ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(iii) საიჯარო შემოსავალი

საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება, როდესაც საიჯარო მომსახურება ხორციელდება და განეკუთვნება ოპერაციულ ლიზინგს.

შემოსავლები დამკვეთებთან დადებული კონტრაქტებისგან

ახალ სტანდარტს შემოაქვს მთავარი პრინციპი, რომლის თანახმად შემოსავალი უნდა იქნას აღიარებული, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა დამკვეთს გარიგების ფასში. ნებისმიერი კომპლექტური განსხვავებული საქონელი ან მომსახურება განცალკევებით უნდა აღიარდეს, და ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასის შეღავათი კონტრაქტის ღირებულებაზე როგორც წესი უნდა გამოიყოს ცალკეული ელემენტებისთვის. როდესაც ანაზღაურება რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები უნდა იქნას აღიარებული, თუ ისინი არ ექვემდებარება დაბრუნების მიშენილოვან რისკს. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტის სარგებლის მოხმარება ხდება. ახალი სტანდარტის შემოღების გამო კომპანიაზე არსებითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ლიზინგი

კომპანია იჯარით იღებს გარკვეულ დანადგარს და მოწყობილობას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად როდესაც კომპანიას არსებითად გააჩნია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველი საიჯარო გადასახადები ნაწილდება

შეხიპ ქოუტეი

ვალდებულებებსა და ფინანსურ დანახარჯებს შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების საპროცენტო ელემენტი აისახება მოგებაზე ან ზარალზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური იჯარის შედეგად მიღებული ქონება, დანადგარები და მოწყობილობა ამორტიზდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ ფლობს რისკების და სარგებლის მნიშვნელოვან ნაწილს კლასიფიცირდება, როგორც ააოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის პირობებში განხორციელებული გადახდები თანაბრად ირიცხება მოგებაზე ან ზარალზე იჯარის პერიოდის განმავლობაში.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. კურსის განსხვავების მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ამგვარი ოპერაციების ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანის შედეგად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი აქტივები და საშუალებები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული ფაქტიური ღირებულებით არ გადაანგარიშდება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, ასახული თავდაპირველი ღირებულებით, აღირიცხება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სესხები და სესხის ხარჯები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების გამოკლებით. სესხები შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით; წებისმიერი სხვაობა შემოსავალს (საოპერაციო ხარჯების გამოკლებით) და გამოსყიდვის ღირებულების შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სესხების პერიოდის განმავლობაში, ექვეტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, თუ კომპანიას არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე 12 თვით.

დივიდენდი

კომპანიის აქციონერებისადმი დივიდენდის განაწილება აღიარებულია, როგორც ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები მტკიცდება კომპანიის აქციონერთა საერთო კრებით.

დაზღვრვა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ეხება უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ პუნქტებს, ამ შემთხვევაში იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი გადასახადი, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისთვის და წინა წლებთან დაკავშირებით გადასახდელი გადასახადის კორექტირება.

(i) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადი აღიარდება საბალანსო მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებს, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და დაზღვრის მიზნებისთვის გამოყენებული ოდენობებისთვის. გადავადებული საგადასახადი არ აღიარდება შემდეგ დროებით სხვაობებზე: აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციაში თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს კომბინაციას და არ მოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე, ასევე სხვაობებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში, როდესაც არ არის მოსალოდნელი სიტუაციის შეცვლა ახლო მომავალში. გადავადებული საგადასახადი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით რომლის გამოყენებაც

მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით რომლებიც ძალაშია ანგარიშგების თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით რა ოდენობითაც მოსალოდნელია მომავალი დაბეგვრადი მოგებების ხელმისაწვდომობა, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. საგადასახადო აქტივები მცირდება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ არის სავარაუდო დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კომპენსირებულია, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების კომპენსირებისთვის ურიდიულად აღსრულებადი უფლება და ისინი უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ სუბიექტზე ან სხვადასხვა საგადასახადო სუბიექტზე დაწესებულ გადასახადებს, და ისინი გამიზნულია მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების დასაფარად ნეტოს საფუძველზე ან მათი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთდროულად განხორციელდება.

(ii) საგადასახადო ხარჯები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის თანხის განსაზღვრებისას კომპანია ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და ასევე იმ ფაქტს, გადასახადელი იქნება თუ არა დამატებითი გადასახადები, და დაკისრებული პროცენტი. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებს და დაშვებებს და შესაძლოა მოიცავდეს მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების სერიებს. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც კომპანიას აიძულებს არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობის შესახებ მისი მსჯელობის ცვლილებას; საგადასახადო ვალდებულებებში ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე, იმ პერიოდში, როდესაც გაკეთდება ამგვარი განსაზღვრება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

საგადასახადო ორგანოები ითხოვენ დღგ-ს დაფარვას ნეტოს საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ნეტოს საფუძველზე. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისას, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი თანხის გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

ქონება, დანადგარები და მოწყობილობა

(i) მიწა და შენობები

ღირებულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიწა და შენობები აისახება გადაფასებული ოდენობით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ რეალურ ღირებულებას, შენობებზე შემდგომი დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

რეალური ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას და წარმოადგენს შესაფასებელ თანხას რომელიც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიცვალოს დაინტერესებული მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გამოთვლილი ხელის მანძილის პრინციპით" ოპერაციაში.

როდესაც სადრიცხო ღირებულება იზრდება გადაფასების შედეგად, ეს ზრდა პირდაპირ უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, გადაფასების რეზერვში. გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება როგორც შემოსავალი იმ დონემდე რომ ის ცვლის იმავე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე იყო აღიარებული, როგორც ხარჯი.

თუ გადაფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს გადაფასების შემცირება პირდაპირ უნდა იქნას აღიარებული გადაფასების რეზერვში, სანამ შემცირება არ გადააჭარბებს იმავე აქტივისთვის გადაფასების რეზერვში არსებულ თანხას, ამასთან დარჩენილი თანხა განეკუთვნება პერიოდის ხარჯებს.

შეფასება ხორციელდება საკმარისად რეგულარულად, იმისათვის რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმისგან, რაც იქნება განსაზღვრული რეალური ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო თარიღისთვის. გარკვეული მიწის და შენობების სადრიცხო ღირებულების აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან როდესაც მისი გამოყენების ან განკარგვისგან მოსალოდნელი არ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. მიწებისა და შენობების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი ან დანაკარგი (გამოითვლილი, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და ელემენტის საბალანსო ღირებულებას შორის) მათი აღიარების შეწყვეტისას შედის მოგებაში ან ზარალში.

წინა შეფასებით განხორციელებული გადაფასების ნამატის შესაბამისი ნაწილი, გამოიყოფა მოგების ან ზარალისთვის, შეფასებული აქტივების ნამატიდან, გადაფასებული აქტივის განკარგვისას.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით.

მედიამ ქვემოთ

დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელებული გადაფასების საფუძველზე, კომპანიამ გადააფასა თავისი საკუთრებები და შექმნა გადაფასების რეზერვები, რომლებიც გადადის გაუნაწილებელ შემოსავალში / დაგროვილ ზარალში დამტკიცებული ცვეთის პოლიტიკის შესაბამისად.

მიწის და შენობების განკარგვაზე შემოსავალი და დანაკარგი აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგების სხვა მოგებაში ან ხარჯებში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, გადაფასების რეზერვებში შეტანილი თანხები გადადის გაუნაწილებელ შემოსავლებში.

(ii) დანადგარები და მოწყობილობა

დანადგარები და მოწყობილობა თავდაპირველად აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ განეკუთვნება ელემენტების შეძენას. ღირებულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოწყობილობა და ინვენტარი აისახება გადაფასებული ოდენობით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ რეალურ ღირებულებას, შენობებზე შემდგომი დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

რეალური ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას და წარმოადგენს შესაფასებელ თანხას რომელზეც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიცვალოს დაინტერესებული მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" ოპერაციაში.

როდესაც სააღრიცხვო ღირებულება იზრდება გადაფასების შედეგად, ეს ზრდა უნდა აღიარდეს კაპიტალში, გადაფასების რეზერვში. გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება როგორც შემოსავალი იმ დონემდე რომ ის ცვლის იმავე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე იყო აღიარებული, როგორც ხარჯი.

თუ გადაფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება როგორც ზარალი. გადაფასების შემცირება აღიარდება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, სანამ შემცირება არ გადააჭარბებს იმავე აქტივისთვის გადაფასების რეზერვში არსებულ თანხას

შეფასება ხორციელდება საკმარისად რეგულარულად, იმისათვის რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმისგან, რაც იქნება განსაზღვრული რეალური ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო თარიღისთვის. გარკვეული მიწის და შენობების სააღრიცხვო ღირებულების აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან როდესაც მისი გამოყენების ან განკარგვისგან მოსალოდნელი არ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. მიწებისა და შენობების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი ან დანაკარგი (გამოითვლილი, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და ელემენტის საბალანსო ღირებულებას შორის) მათი აღიარების შეწყვეტისას შედის მოგებაში ან ზარალში

წინა შეფასებით განხორციელებული გადაფასების ნამატის შესაბამისი ნაწილი, გამოიყოფა მოგების ან ზარალისთვის, შეფასებული აქტივების ნამატიდან, გადაფასებული აქტივის განკარგვისას და მისი გამოყენების დროს.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით.

დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელებული გადაფასების საფუძველზე, კომპანიამ გადააფასა თავისი დანადგარები ცვეთის კატეგორიებში "ლაბორატორიის დანადგარები" და "საზომი და სამართავი ხელსაწყოები" და შექმნა გადაფასების რეზერვები, რომლებიც გადადის გაუნაწილებელ შემოსავალში / დაგროვილ ზარალში დამტკიცებული ცვეთის პოლიტიკის შესაბამისად.

დანადგარების განკარგვაზე შემოსავალი და დანაკარგი აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგების სხვა მოგებაში ან ხარჯებში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, გადაფასების რეზერვებში შეტანილი თანხები გადადის გაუნაწილებელ შემოსავლებში.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკეული აქტივი, სათანადოდ, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა მოვლა-შენახვის ხარჯი აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიქმნა.

(iv) ცვეთა

მსხიამ ქუთუნი

მიწის და დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების ცვეთა არ ხდება. ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სხვა ელემენტების ცვეთის გაანგარიშება ხორციელდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით იმისათვის რომ განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე ან მათ ნარჩენ ღირებულებებზე შემდეგნაირად:

მოწყობილობა და ინვენტარი
სხვა

20 წელი
1-დან 8 წლამდე
10 წელი

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება არის თანხა რომელიც მოსალოდნელია დარჩეს კომპანიას, გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯების გამოკლებით, აქტივის მომსახურების ვადის ამოწურვისას და მისი სასარგებლო გამოყენების პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადები განიხილება, და საჭიროებისამებრ კორექტირდება, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის საორიენტაციო ანაზღაურებად ღირებულებას.

მოგება და ზარალი განკარგვაზე განისაზღვრება როგორც სხვაობა განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და განკარგული აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლებში / ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

პატენტები, ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა

(i) არამატერიალური აქტივების მფლობელობა

პატენტები, ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება წარმოებული ხარჯების საფუძველზე კონკრეტული აქტივის შემცნისა და გამოყენებისთვის.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზრდის აქტივის გამოყენებიდან მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი განიხილება შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად, წარმოქმნისას.

(iii) ამორტიზაცია

დაუმთავრებელი მშენებლობის არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ხდება. სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშება ხორციელდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით იმისათვის რომ განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე ან მათ ნარჩენ ღირებულებებზე შემდეგნაირად:

მესამე მხარის ქონების გამოყენების უფლება

1 დან 2 წლამდე

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღიარებულია, როგორც აქტივი, როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნის ალბათობა ინვესტიციიდან და როდესაც შეიძლება ინვესტიციის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას, რომლის დაკავება ხორციელდება ან ქირავნობის შემოსავლის მოსაპოვებლად, ან კაპიტალის ნამატისთვის, ან ორივესთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა აღნიშნული მოგება თუ ზარალი.

ქონების, დანადგარების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის კომპანია განიხილავს მისი ქონების, დანადგარების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს რათა განსაზღვროს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების ზარალი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ნებისმიერი ზარალის მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კვლევა აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. იმ შემთხვევაში როდესაც შესაძლებელია განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კომპანიის აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, და ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება ყოველწლიურად, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.
ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს უზლის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული თანხით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც გადაფასების შემცირება, შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, რომელიც მოიცავს ძირითადი აქტივის(ების) გადაფასების მოთხოვნებს.
თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

მარაგები

მიმდინარე სამუშაოს და საბოლოო პროდუქციის ღირებულება მოიცავს ნედლეულს, უშუალო მუშახელს, სხვა პირდაპირ ხარჯს და გამოუმუშავებასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური ოპერაციული დატვირთვის საფუძველზე).

სავაჭრო საქონელი აისახება შესყიდვისა და გაყიდვის ფასის ნაკლებ ფასში (მოქმედი ბეგარის და ფასნამატის გამოკლებით).

მცირე ფასიანი მარაგები და ხელსაწყოები იხარჯება გამოყენებისას.

სავაჭრო დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება ღირებულებით, რაც უდრის აღიარების მომენტში არსებული რეალურ ღირებულებას და შემდგომში იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, თუ არსებითია, და თუ არა, ნომინალური ღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა საჭირო თანხის დაგროვებას დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების შესაბამისად. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა რომ მოვალე გაკოტრდება, აგრეთვე გადაუხდელობა ან გადახდის გადავადება განიხილება იმის ინდიკატორებად რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეიძლება გაუფასურდეს. რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველი აღიარებისას. ადრე ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების თანხა აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, ბანკებში დარიცხულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, დაფარვის თავდაპირველი ვადით სამი თვით ან უფრო ნაკლებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საბანკო ოვერდრაფტები შედის მიმდინარე ვალდებულებების სესხებში.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული მოგება აისახება კაპიტალში, როგორც გამოქვითვა, საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით, შემოსავლიდან. გაცემული აქციების ნომინალურ ღირებულებით მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ნებისმიერი გადაჭარბება ნაჩვენებია შენიშვნებში, როგორც საემისიო შემოსავალი. თუ კომპანია შეისყიდის თავისი სააქციო კაპიტალს (სახაზინო აქციებს), გადახდილი ანაზღაურება, მათ შორის გარიგების უშუალო ხარჯები (საშემოსავლო გადასახადების გამოკლებით), გამოიქვითება კომპანიის აქციონერებისადმი მიკუთვნებული კაპიტალიდან მანამდე სანამ აქციები გაუქმდება ან ხელახლა გამოიცემა ან განიკარგება. თუ ასეთი აქციები შემდგომ გაიყიდება ან ხელახლა გამოიცემა, ნებისმიერი მიღებული ანაზღაურება აისახება კაპიტალში, ნებისმიერი გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯის და მასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შედეგების გამოკლებით.

მეხიამ დაუტოვა

თანამშრომლების ბენეფიტები

(i) საპენსიო ვალდებულებები და დასაქმების დასრულების შემდგომი სარგებელი
საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანია ხელფასიდან დაქვითვის მეშვეობით ახორციელებს გადარიცხვას სავალდებულო საპენსიო ფონდში თავისი თანამშრომლების სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სავალდებულო საპენსიო ფონდში შეტანილი ყველა გადარიცხვა, განხორციელებისას აღირიცხება, როგორც ხელფასის დანახარჯი. კომპანია არ არის ვალდებული უზრუნველყოს სხვა სარგებელი დასაქმების დასრულების შემდეგ.

(ii) საბოლოო ბენეფიტები

საბოლოო ბენეფიტების გადახდა ხორციელდება როდესაც დასაქმება წყდება კომპანიის მიერ ნორმალურ საპენსიო თარიღამდე ან როდესაც თანამშრომელი თანხმდება ნებაყოფლობით შემცირებას ამ სარგებლის სანაცვლოდ. კომპანია აღიარებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგადად, როდესაც იგი ცხადად ეხება შემდგომი ფაქტორებიდან ერთს: ამჟამინდელი თანამშრომლების დასაქმების შეწყვეტა დეტალური ოფიციალური გეგმის შესაბამისად, უკან აყვანის შესაძლებლობის გარეშე; ან ხელშეკრულების შეწყვეტის ბენეფიტების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი შემცირების წახალისების მიზნით გაკეთებული შეთავაზების შედეგად

(iii) ჩვეულებრივი საპენსიო ბენეფიტები

საანგარიშო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გადასახდელი ბენეფიტები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დამოუკიდებელი აქტუარის მიერ ყოველ საანგარიშო თარიღზე შესრულებული გაანგარიშების საფუძველზე, დაშვებით გამოყენებით რომელიც ეხება იმ პერსონალის რაოდენობას რომელიც სავარაუდოდ მიიღებს ჩვეულებრივ საპენსიო ბენეფიტს, ბენეფიტების სავარაუდო ხარჯებს და ხორვატის რესპუბლიკის მიერ გამოშვებული ობლიგაციების შემოსავლიანობის ნორმის ტოლ ფასდაკლების განაკვეთს. აქტუარული მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია გამოცდილების საფუძველზე კორექტირების და აქტუარული დამკვეთების ცვლილებების შედეგად, დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

რეზერვები

რეზერვები აღიარებულია, როდესაც კომპანიას გააჩნია ამჟამინდელი ვალდებულება (კანონიერი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა (ე.ი. დიდი ალბათობით, ვიდრე არა), რომ საჭირო იქნება რესურსების გადინება ვალდებულების შესასრულებლად, და შეიძლება გაკეთდეს საიმედო შეფასების ვალდებულების თანხაზე. რეზერვები განიხილება თითოეული საანგარიშო თარიღისთვის და კორექტირდება, რომ ასახოს მიმდინარე საუკეთესო ხარჯთაღრიცხვა. თუ ფასდაკლების შედეგი არსებითია, რეზერვების ოდენობა წარმოადგენს იმ ხარჯების ამჟამინდელ ღირებულებას, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გადასახდელად, რაც განისაზღვრება გაანგარიშებული რისკისგან-თავისუფალი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც ფასდაკლების განაკვეთისა. ფასდაკლების გამოყენებისას, ასეთი ფასდაკლების შეცვლა ყოველ წელს აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი და რეზერვის საბალანსო ღირებულება ყოველ წელს იზრდება, რაც ასახავს დროის გასვლას.

საოპერაციო სეგმენტის ანგარიშგება

კომპანია ახორციელებს მოქმედი სეგმენტების გამოვლენას კომპანიის კომპონენტების შესახებ შიდა მოხსენებების საფუძველზე, რომლებიც რეგულარულად განიხილება მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღების მიერ (რომელიც განისაზღვრა, როგორც კომპანიის მმართველი საბჭო), რათა განაწილდეს რესურსები სეგმენტებზე და შეფასდეს მათი შესრულება.

აქციაზე შემოსავალი

კომპანია წარმოადგენს მონაცემებს ერთ აქციაზე საბაზო და განზავებული შემოსავლის შესახებ თავისი ჩვეულებრივი აქციებისთვის. საბაზო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების ან ზარალის შეფარდებით პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები განზრახულია საფინანსო ორგანიზაციების მიმართ უზრუნველყოფილი ვალის დასაფარად, რომლებმაც უარი არ თქვეს თავიანთ ცალკეული ანგარიშსწორების უფლებაზე გაკოტრებამდე რეგულირების პროცესში. საბაზრო ღირებულება დადგინდა დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშის საფუძველზე, რომელიც დაემყარა ღირებულების მეთოდს, შედარებით მეთოდს და/ან შემოსავლის მეთოდს, ქონების სახეობიდან გამომდინარე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

გასამრჯელოები, ხელფასები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანები, გადახდილი ყოველწლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები, და არა-მატერიალური შედეგები ექვემდებარება დარიცხვას კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურებების შესრულების წლის შესაბამისად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან მოსაზრებების, შეფასებების და დაშვებების გაკეთებას რაც ზემოქმედებს შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ასახულ ზანზეზე და თანმდევ განმარტებით შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. ამ დაშვებების და შეფასებების განუსაზღვრელობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგი რაც განაპირობებს აქტივების ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვან კორექტირებას მომდევნო პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა განმარტებას

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. საჭიროა ხელმძღვანელობის მსჯელობა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივების ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს სავარაუდო ვადის, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანიამ გამოიყენა განსჯა რათა განესაზღვრა ქონების, დანადგარების და მოწყობილობის სასარგებლო მომსახურების ვადა, ისეთი ფაქტორების მხედველობაში მიღებით როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება, მატერიალური წარმოების აქტივების სავარაუდო წარმადობის და მოსალოდნელი ცვეთის გათვალისწინებით, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობამ საუკეთესო შეფასების მეშვეობით განსაზღვრა აქტივებში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გამოყენების სტრუქტურა, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე

მზაობის შეფასება სამშენებლო კონტრაქტებზე

კომპანია აღიარებს სამშენებლო კონტრაქტებში მიღებულ შემოსავალს „მზაობის“ მეთოდის საფუძველზე, რომელიც იზომება საანგარიშო თარიღამდე გაწეული კონტრაქტის ხარჯების მიხედვით, როგორც თითოეული კონტრაქტის მთლიანი საანგარიშო ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი და როდესაც შედეგობრივი დებიტორული დავალიანების ამოღება გონივრულად არის გარანტირებული. როდესაც კომპანია თვლის, რომ შემოსავლის აღიარების კრიტერიუმები არ არის შესრულებული გარიგებისთვის, შემოსავლის აღიარება ყოვნადაც ასეთ დრომდე.

„მზაობის“ მეთოდს მენეჯმენტი განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: (ა) კონტრაქტის სრული შემოსავალი შეიძლება შეფასდეს საიმედოდ; (ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ორგანიზაციას; (გ) როგორც კონტრაქტის დასრულების საკონტრაქტო ხარჯები, ასევე საანგარიშო პერიოდის ბოლოს კონტრაქტის დასრულების ეტაპი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; და (დ) კონტრაქტისთვის განკუთვნილი საკონტრაქტო ხარჯები შეიძლება აშკარად იდენტიფიცირდეს და შეფასდეს საიმედოდ, ისე, რომ კონტრაქტის ფაქტიური ხარჯები შეიძლება შეედაროს წინა შეფასებებს.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია დებს გარიგებებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ბასს“ 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას თავიანთ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობა ხორციელდება იმის განსაზღვრავად, გარიგებები თუ ფასდება საბაზრო ან არასაბაზრო ტარიფებით, როდესაც ასეთი გარიგებებისთვის აქტიური ბაზარი არ არის. განსჯის საფუძველია ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებებისთვის.

4. ბასს-ის მიერ გამოცემული ახალი ან გადახდილი ნორმები და განმარტებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ფასს 17 მოითხოვს სადაზღვევო ვალდებულებების შეფასებას შესრულების მიმდინარე ღირებულებით და უზრუნველყოფს გაზომვისა და წარდგენის უფრო ერთგვაროვან მიდგომას ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის. ეს მოთხოვნები შემუშავებულია სადაზღვევო კონტრაქტების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული აღრიცხვის მიზნის მისაღწევად. ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად - (ბასს 1-ის შესწორებები)

შესწორებები მიზნად ისახავს მოთხოვნების გამოყენების თანმიმდევრულობის ხელშეწყობას დაეხმარება რა კომპანიებს იმის განსაზღვრაში მოახდინონ თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანგარიშსწორების გაურკვეველი თარიღის ვალის და სხვა ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან (დასაფარი ან პოტენციურად დასაფარი ერთი წლის განმავლობაში) ან გრძელვადიან ვალდებულებებად. წლიური საანგარიშგებო პერიოდები დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ

კონცეპტუალური ჩარჩო (ფასს 3-ის შესწორებები)

შესწორებებით განახლდება ფასს 3-ში მითითებული კონცეპტუალური ჩარჩო სტანდარტის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ქონება, დანადგარები და მოწყობილობა—შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)

ცვლილებები კრძალავს „ქონება, დანადგარები და მოწყობილობა“ კატეგორიის მუხლის ღირებულებიდან გამოქვითვას ნებისმიერი შემოსავლის გაყიდვიდან, რომელიც წარმოებულია ამ აქტივის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომობამდე, ანუ აქტივის იმ ადგილამდე და მდგომარეობამდე მიყვანამდე, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მას შეეძლოს მუშაობა მენეჯმენტის მიერ განზრახული მიზნობრივობით. შესაბამისად, ორგანიზაცია გაყიდვების ასეთ შემოსავალს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოგებაში ან ზარალში აღიარებს. 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის შესწორებები)

ცვლილებები აკონკრეტებს, რომ ხელშეკრულების „შესრულების ღირებულება“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებასთან“. ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებას, შედგება როგორც ამ ხელშეკრულების შესრულების დამატებითი ხარჯებისგან (მაგალითები იქნება შრომის ან მასალების პირდაპირი ხარჯები) და სხვა ხარჯების განაწილებისგან, რომლებიც უშუალოდ ეხება კონტრაქტების შესრულებას (მაგალითი იქნება ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული „ქონება, დანადგარები და მოწყობილობა“ მუხლის ამორტიზაციის ხარჯის განაწილება). 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლის წლიური გაუმჯობესება.

შეაქვს შესწორებები შემდეგ სტანდარტებში:

- ფასს 1 – ცვლილება ნებას რთავს შვილობილი კომპანიას, რომელიც იყენებს ფასს 1-ის D16(a) პარაგრაფს, რომ აირჩიოს კუმულაციური გადაანგარიშების განსხვავებების აღრიცხვა მისი მშობლის მიერ ასახული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე.
- ფასს 9 - ცვლილება განმარტავს, თუ რომელ საკომისიოს მოიცავს ორგანიზაცია, როდესაც იყენებს ფასს 9-ის B3.3.6 პუნქტის „10 პროცენტ“ კრიტერიუმს ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების აუცილებლობის შეფასებისას. ორგანიზაცია მოიცავს მხოლოდ ორგანიზაციის (მსესხებელს) და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ საკომისიოს, მათ შორის საკომისიოს, რომელიც გადახდილი ან მიღებულ იქნა ორგანიზაციის ან გამსესხებლის მიერ სხვა მხარის სახელით.
- ფასს 16 -ის შესწორება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება,

მუხიამ დაეჭვი

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- იჯარის სტიმულირების რეჟიმთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის მოსაგვარებლად რაც შეიძლება წარმოქმნილიყო იმ მაგალითში ილუსტრირებული იჯარის სტიმულის მიხედვით.
- ბასს 41 - ცვლილებით უქმდება ბასს 41-ის 22-ე პუნქტის მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა გამორიცხონ საგადასახადო ფულადი ნაკადები, ფაქტური ღირებულების მეთოდის გამოყენებით ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისას

2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

ფასს 17-ის შესწორებები

ასწორებს ფასს 17-ს არსებული პრობლემების და გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებიც გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები გამოქვეყნდა 2017 წელს.. ძირითადი ცვლილებებია:

ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღის გადავადება ორი წლით, 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის

- დამატებითი გამორიცხვა საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებისთვის და მსგავსი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას, ასევე არჩევითი გამორიცხვა სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გადაცემენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს
- აღიარება სადაზღვევი მომსახურების შეძენის ფულადი ნაკადებისა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებას, გარდამავალი დებულებებისა და სადაზღვევო მომსახურების შეძენის იმ ფულადი ნაკადების რეკომენდაციების ჩათვლით, რა ფულადი ნაკადებიც აღიარებულია ბიზნესში, ბიზნეს გაერთიანების შედეგად.
- ფასს 17-ის გამოყენების განმარტება შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალებას ანგარიშგებულ ორგანიზაციის დონეზე
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჯის გამოყენების განმარტება, რომელიც ეხება საინვესტიციო შემოსავლის მომსახურებას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ მომსახურებას და ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამისი მოთხოვნების ცვლილებებს
- რისკის შერბილების ვარიანტის გაფართოება დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და არაფინანსური წარმოებული ინსტრუმენტების ჩათვლით
- შესწორებები რომლებიც მოითხოვს ორგანიზაციისგან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას აღიარებს ზარალს გაცემულ წამგებიან სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, ასევე აღიაროს მოგება დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან
- სადაზღვევო ხელშეკრულებების გამარტივებული წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ისე, რომ ორგანიზაციებმა წარმოადგინონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც განისაზღვრება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის გამოყენებით და არა სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების გამოყენებით
- დამატებითი შედგავთი ბიზნეს გაერთიანებაზე გადასვლისას, დამატებითი შედგავთი რისკის შერბილების ვარიანტის გამოყენების თარიღზე გადასვლისას და რეალური ღირებულების გადასვლის მიდგომის გამოყენებისას

ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების მოქმედების ვადის გაგრძელება (ფასს 4-ის შესწორებები)

შესწორება ცვლის ფასს 4-ის სადაზღვევო ხელშეკრულებებში დროებითი გათავისუფლების ფიქსირებულ ვადის გასვლის თარიღს ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისგან, ასე რომ, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ გამოიყენონ ფასს 9 წლიური პერიოდებისთვის, დაწყებული 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად - ძალაში შესვლის თარიღის გადავადება (ბასს 1-ის შესწორება)

შესწორება აახდენს 2020 წლის იანვრის ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღს ერთი წლით გადავადებას, ასე რომ, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შესწორების გამოყენება 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ერთი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი, აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის ცვლილებები)

შესწორებები განმარტავს, რომ თავდაპირველი აღიარების განთავისუფლება არ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებშიც პირველადი აღიარებისას წარმოიქმნება გამოქვითვადი და დასაბეგრი დროებითი განსხვავებების თანაბარი ოდენობა.

2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდები

25

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

5. ქონება, დანადგარები და მოწყობილობა

	მექანიზმები და მოწყობილობა	საოფისე მოწყობილობა და აპარატურა	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯართ აღებულის გაუმჯობესება	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	188	147	414	1	750
მატება	-	-	-	-	-
გასვლა	54	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	134	147	414	1	54
მატება	-	-	-	-	695
გასვლა	(4)	(5)	(272)	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	130	141	142	1	(280)
					415
დაგროვილი ცვთა					
2019 წლის 31 დეკემბერი	66	125	176	1	-
ცვთის დარიცხვა	25	12	76	-	368
2020 წლის 31 დეკემბერი	91	136	252	1	113
ცვთის დარიცხვა	15	6	51	-	481
გასვლა	(3)	(5)	(187)	-	73
2021 წლის 31 დეკემბერი	104	138	116	1	(195)
					358
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	122	22	238	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	43	10	162	-	382
2021 წლის 31 დეკემბერი	26	4	27	-	215
					57

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2,268	2,704
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	1
სხვა დებიტორული დავალიანებები	1	-
დებიტორული დავალიანებები არარეზიდენტებისგან	-	133
	2,269	2,838
საექვო ვალდებულების მარაგი	(1,696)	(76)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	572	2,761

ქვედა ცხრილში ნაჩვენებია დებიტორული დავალიანების ვადები:

	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ოდენობა	(159)	-	(6)	(167)	(562)	(1,373)	(2,267)
რეზერვის პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვი	-	-	(0)	(42)	(281)	(1,373)	(1,696)

მეხიამ ჩაუტეა

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში		
ნაღდი ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	395	150
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	148	161
	542	311

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებში შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც რისკისგან თავისუფალი, იმის გათვალისწინებით რომ ბანკები, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ სანდო და კარგად-ცნობილ ქართულ საკრედიტო დაწესებულებებს

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გაცემული სესხი		
დარიცხული პროცენტი	53	128
სულ გაცემული სესხები	9	89
	62	216

2020 წელს კრედიტი გაცემულია მშობელ კომპანიაზე სს ინსტიტუტ იგპ, ხორვატია და შპს „AVENUE MECHANIZACIJA“

2020 წელს კომპანიამ მიიღო კრედიტის გადასახადი მშობელი კომპანიისგან და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის დებიტორული დავალიანების თანხა უკავშირდება მხოლოდ შპს Avenue Mechanizacija-ზე გაცემულ სესხს.

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო დავალიანება		
სახელფასო დავალიანება	613	1,728
სხვა დავალიანება	70	123
დაკავშირებული მხარისთვის გადასახადი	39	5
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	-
	722	1,857

10. შემოსავალი

შემოსავალი	2021	2020
საოპერაციო შემოსავალი		
დარიცხული შემოსავალი	1,093	10
სულ შემოსავალი	-	-
	1,093	10

საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	2021	2020
საპროექტო მომსახურება სნო-ჯვთა		
მოდერნიზაციისა და სარემონტო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება - მენეჯმენტის მომსახურება	809	-
სხვა	35	-
ლაბორატორია	-	10
სკოლის რეაბილიტაცია	76	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	173	-
	1,093	10

მეხიაშ ცაყაშვილი

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

11. განხორციელებული მომსახურების ღირებულება

განხორციელებული მომსახურების ღირებულება	2021	2020
მცირე მარაგები		
საწვავი	6	4
წარმოების ხარჯები	26	16
სხვა დაკავშირებული ხარჯები	-	-
სახელფასო ხარჯები	-	-
ცვეთის ღირებულება	-	688
ქვე-კონტრაქტორის ხარჯები	15	52
ცვეთის ხარჯები	84	1,053
სულ განხორციელებული მომსახურების ღირებულება	132	1,814

12. ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
წარმომადგენლობითი ხარჯები		
სხვა ხარჯები	-	-
წარმოების ხარჯები	97	74
სახელფასო ხარჯები	4	15
კომუნალური ხარჯები	531	475
საკონსულტაციო ხარჯები	72	122
საფოსტო გადასახადის ხარჯები	189	96
ცვეთის ხარჯი	1	1
ქვეკონტრაქტორის ხარჯები	58	61
სხვა დაკავშირებული ხარჯები	-	-
საგადასახადო ხარჯები	11	26
სულ ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	968	874

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს ანაზღაურებასთან და ხელფასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

13. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

2021 წლის არაოპერაციული შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. კერძოდ, მანქანების რეალიზაციიდან. სხვა არაოპერაციული შემოსავალი შეადგენს 110 ათას ქართულ ლარს 2021 წელს და 97 ათას ქართულ ლარს 2020 წელს.

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა წარმოადგენს ცვლადი განმარტებების და ცვლილებების საგანს, რისი დაფიქსირებაც ხშირად შესაძლებელია. ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ განმარტებებს კანონმდებლობაზე, რაც უფლებამოსილი ორგანოები, საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას მიმართონ კანონმდებლობის თავისუფალ ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებებისას, ასევე შესაძლებელია რომ იმ ოპერაციებზე და საქმიანობებზე, რომელთა მიმართაც ადრე კითხვები არ იყო, ახლა გაჩნდეს კითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს აუცილებელი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საპროცენტო განაკვეთები. ხელმძღვანელობა თვლის რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ადეკვატურია და კომპანიის საგადასახადო და სავალუტო

მუხიამ ქაყაძე

კანონმდებლობა, ასევე საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება. შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრისთვის პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების პირობა არ აღრიცხულა

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასობრივ რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ ძირითადი ამოცანების რისკებისადმი მიდრეკილება არ გასცდეს ამ საზღვრებს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირებისთვის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (გ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო სიტუაციის ცვლილებებს. ხელმძღვანელობა აწესებს შეზღუდვებს რისკის სიდიდეზე რაც შეიძლება იქნეს მიღებული, რომლის მონიტორინგიც ხორციელდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ამ შეზღუდვების მიღმა დანაკარგები, უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებების პირობებში. ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს - მაგალითად საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს იმ გაცვლის კურსის ცვლილებები რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს კონკრეტულ გარიგებებს, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტის ნომინალში. კომპანია არ იყენებს დერივატულ ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოური ვალუტის რისკის სამართავად. ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს ამგვარი რისკის შემსუბუქებას ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მართვით უცხოურ ვალუტაში კომპანიის დონეზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია რომლის წინაშეც ორგანიზაცია დგება მაშინ როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი დაფარვის საკონტრაქტო ვადით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული თანხისგან რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულადი ნაკადებს. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები 31-დეკ-21	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	722	-	-	722
სულ ფინანსური ვალდებულებები	722	-	-	722

შეხიამ კახიჭიშკი

სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ვალდებულებები 31-დეკ-20	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,857	-	-	1,857
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,857	-	-	1,857

ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	572	-	-	572
წინასწარი გადახდები	-	-	-	-
გაცემული სესხები	62	-	-	62
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	542	-	-	542
სულ ფინანსური აქტივები	1,177	-	-	1,177

ფინანსური აქტივები 31-დეკ-20	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,761	-	-	2,761
წინასწარი გადახდები	73	-	-	73
გაცემული სესხები	216	-	-	216
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	311	-	-	311
სულ ფინანსური აქტივები	3,361	-	-	3,361

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ რა მოთხოვნები აქვთ მათ კომპანიის კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავისი კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც კომპანია ოპერირებს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც თანხა, რაზეც შეიძლება ინსტრუმენტი გაიყიდოს მიმდინარე გარიგების დროს გათვითცნობიერებულ და მსურველ მხარეებს შორის, დამოუკიდებელ მხარეებს შორის წარმოებული გარიგების დროს, იძულებითი ან სალიკვიდაციო გაყიდვის გარდა.

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასებები უცილობლად არ ასახავს თანხებს, რის რეალიზებასაც შეძლებდა კომპანია კონკრეტული ინსტრუმენტის აქციების თავისი სრული პაკეტის გაყიდვით ბაზარზე. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-21 საბალანსო ღირებულება	31-დეკ-21 რეალური ღირებულება	31-დეკ-20 საბალანსო ღირებულება	31-დეკ-20 რეალური ღირებულება
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	542	542	311	311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	572	572	2,761	2,761
წინასწარი გადახდები	-	-	73	73
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	722	722	1,857	1,857

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პატივით ქაყუჭვი

სს ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, (ათას ქართულ ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიასთან (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და ერთი მშობელი ფირმის შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას კომპანიაზე და რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლი კომპანიაზე;
- ბ) ასოცირებულ კომპანიებს - საწარმოებს, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ინვესტორის ერთობლივი საწარმო.
- გ) ერთობლივ საწარმოებს, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- დ) კომპანიის ან მისი მშობლის უმაღლესი მენეჯმენტის პერსონალის წევრებს
- ე) ნებისმიერი პირის ოჯახის უახლოეს წევრებს, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში
- ვ) მხარეებს, რომლებიც არიან ორგანიზაციები კონტროლირებადი, ერთობლივად კონტროლირებადი, ან განიცდიან მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება ასეთ ორგანიზაციაში აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ნებისმიერ პირს; ან
- ზ) დასაქმების შემდგომ მისაღებ სარგებლის გეგმებს კომპანიის თანამშრომლებისთვის ან ნებისმიერი ორგანიზაციისთვის რომელიც წარმოადგენს კომპანიასთან დაკავშირებულ მხარეს.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

კომპანია ეკუთვნის (100%) სააქციო საზოგადოება სს ინსტიტუტი იგ3-ს, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ხორვატია. კომპანიის დაკავშირებული მხარეებია მისი აქციონერები, უმაღლესი მენეჯმენტი და სხვა, როგორც აღწერილია ქვემოთ.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის ჰქონდა შემდეგი გადაუხდელი თანხები

1000 ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
აქციონერები	
გაცემული სესხები	
დარიცხული პროცენტი, დებეტი	52
დარიცხული პროცენტი, კრედიტი	9
უმაღლესი მენეჯმენტი და უახლოესი დაკავშირებული პირები	-
ხელფასები და ბონუსები	251

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

სააქციო საზოგადოება სს ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში - ხორვატია

18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე რაც ნიშნავს, რომ კომპანია შეძლებს თავისი საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობების შესრულებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 15 ივლისს. 2022 წელს კომპანია ახალ ტენდერში ჩაერთო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად.

მარიამ კახიჭავჭავაძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N221241546



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

15.09.2022 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ბაჩანა შენგელია

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 13

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

032 243 11 46

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

19316593024322



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2022 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. #13, მომმართა თარჯიმანმა მარიამ დაუშვილმა (დაბ.08.02.1963წ. პირადი ნომერი 01008010717, რეგ. მის. საქართველო, ქალაქი თბილისი, ლადო კავსაძის ქუჩა, N 10, ბინა 25; მოწმობა N725 გაც. ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ, 1995წ.). მან წარმოადგინა დოკუმენტის (ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა) თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე 1 ეგზემპლარად და მოითხოვა თარგმანზე თავისი 31 ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დადასტურება. დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. შევამოწმე მარიამ დაუშვილის უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს. თარჯიმანი ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულ იქნა თარჯიმნად ყოფნის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, თარჯიმანმა განაცხადა, რომ არ არსებობს თარჯიმნის გამომრიცხავი გარემოებები. თარჯიმანი გაფრთხილებულია ნოტარიუსის მიერ, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 114.74 ლარი, მათ შორის: 93.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება N507) 31-ე მუხლის, დღგ: 16.74 თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5.00 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება N507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი



ბაჩანა შენგელია

შპს-ს წევრის
გამგზავნის
წილის
ფაქტობრივი
ფლობელობის
დადასტურება

წმინდა

